პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ

ცენტრალურ და ტფილისის

კომიტეტის

და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.

დეპ. საბ.

ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 5-48.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 235 შაბათი, 13 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400.000 მ ნ. № 235

დღიური

საქსონიაში შესდგა წითელი მთავრობა.

რურის მრეწველები იძულებული არიან უარი სთქვან სამუშაო დღის გადიდებაზე.

დოლარის კურსი ბერლინის ბირჟაზე შვიდ მილიარდს უდრის.

საფრანგეთის სამრეწველო წრეები მოითხოვენ საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიური დამოკიდებულების აღდგენას.

ბულგარეთის მთავრობა ცდილობს კოლაროვის და დიმიტროვის მოკვლას.

ოქტომბრის დღესასწაულების მომწყობი კომისია
აცხადებს კონკურსს

სამხატვრო-ლითოგრაფიულ პლაკატის ესკიზზე,

რომელიც დახატული უნდა იყოს 3—4 ხალებავით შემდეგ თემაზე: ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავი, გერმანიის ამბები, ს. ს. რ. კ. ცაკის 3-ე სესია და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების მშრომელთა გაერთიანება, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი საბჭოთა გერმანიასთან, გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა საერთაშორისო ფაშიზმთან.

კონკურსის ვადა—16 ოქტომბერი.

საკონკურსო პლაკატები წარდგენილი უნდა იქნენ ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

პრემია მიღებულ პლაკატისათვის 3 (სამი) ჩერვონეცი.

ოქტომბრის დღესასწაულების მომწყობი კომისია.

წითელი მთავრობა საქსონიაში

ერთ-ერთ წერილში გერმანიის ახალი კოალიციონური მთავრობის შესახებ ჩვენ ვსწერდით, რომ იქ მებრძოლ ძალთა განწყობილება ხასიათდება დღეს ერთნაირი წონასწორობით, რომელიც არ ჰქმნის ჯერ კიდევ პირობებს ორი უკიდურესი ძალიდან რომელიმე ერთის გაბატონებისათვის. ამ წონასწორობის გარეგან გამოხატულებათ დავსახეთ ჩვენ ახალი კოალიციონური კაბინეტი. როგორც მაშინაც ვთქვით, ეს „დროებითი ზავი“ საშუალებას აძლევს მოწინააღმდეგეებს მოიკრიბონ ძალები მომავალი ბრძოლებისათვის, როდესაც მიეცემა დასასრული გარდამავალ ხანასაც ამ გარდამავალ მთავრობასთან ერთათ. ჩვენს ასეთ შეფასებას სრულიად ადასტურებს შინაარსი იმ მოწოდების, რომელიც გამოაქვეყნეს რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციებმა და რომელსაც ჩვენი მკითხველი ნახავს გაზეთის დღევანდელ ნომერში. იქ მოთხრობილია ამბები, კულისებში კონტრ-რევოლიუციონერების მუშაობის შესახებ, რომელიც თან ახლდა პირველი კოალიციონური მთავრობის კრიზისს და ახალის შედგენას. ამნაირათ ძალების დაგროვება კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში სწარმოებს. მაგრამ იგივე მუშაობა ძალთა დარაზმვისა და კონცენტრაციისა მიმდინარეობს კიდევ მეტი ენერგიით რევოლიუციის ბანაკშიც.

მკითხველებმა იციან გუშინდელი დეპეშებიდან ტიურინგიის საქარხნო კომიტეტების მოწოდება საყოველთაო გაფიცვის შესახებ, იციან, რომ მზადდება ამ კომიტეტების სრულიათ გერმანიის ყრილობაც, იციან აგრეთვე რეიხსტაგის კომფრაქციის მოწოდება, რომ ის მზათ არის სათავეში ჩაუდგეს პროლეტარიატის ბრძოლას ძალაუფლებისათვის. ყოველივე ეს ერთიანი ფრონტის შექმნით, რომელიც უკვე თანდათან ხორცს ისხამს მთელი გერმანიის მასშტაბით. ამ ერთიანი ფრონტის პირველი და უდიდესი მიღწევა უეჭველათ საქსონიის წითელი მთავრობის შედგენა, რომელშიაც შედიან მემარცხენე სოციალ-დემოკრატები (5 პორტფელი) და კომუნისტები (ორი ადგილი). კომპარტიამ მიიღო ორი პორტფელი: ფინანსთა და სახალხო მეურნეობის მინისტრების. პარტიას მიეცა უფლება შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების კონტროლისა და იქ მონაწილეობის. საქსონიის ლანდტაგში არსებულ ამ ორი პარტიის ძალთა განწყობილების მიხედვით, ჩვენ მიგვაჩნია ეს კომპარტიის დიდ გამარჯვებათ, რომელიც შეიძლება ავხსნათ არა იმდენათ ლანდტაგის კედლებში არსებულ ურთიერთობით რამდენადაც იმ ფართო გავლენით, რომლითაც სარგებლობს საზოგადოთ კომპარტია მთელ წითელ საქსონიაში.

შეთანხმება კომუნისტებისა და მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს შორის მიღწეული სწორეთ იმ პლატფორმაზე, რომელსაც თავიდანვე აყენებდენ ჩვენი ამხანაგები როგორც თვით საქსონიაში, ისე გერმანიის სხვა საკავშირო სახელმწიფოებში. ეს არის: პროლეტარიატის შეიარაღება და წითელი ასეულების მოწყობა ფაშიზმისაგან „თავდაცვის“ მიზნით. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სამოქალაქო ომის პროცესში, ძნელი გასარჩევი იქნება სად თავდება თავდაცვითი და იწყება შეტევითი ბრძოლა. როგორც გამოსავალი წერტილი, ასეთი პლატფორმა მისაღებია, რომ მიღწეული იქნეს შეთანხმება და ეს ასეც მოხდა. მკითხველს არ უნდა დაავიწყდეს, რომ საქსონიას ისევე, როგორც მეზობელ წითელ ტიურინგიას საქმე აქვთ უშუალოთ მათ გვერდით ატუზულ ბავარიის ფაშიზმთან, რომელიც პირველ რიგშივე—სამხედრო მოქმედების დაწყების შემთხვევაში—შეეცდება ორი წითელი სახელმწიფოს მოსრესას და მუშურ-გლეხურ მთავრობათა ჩამოგდებას. ამ მიზნით ისინი აგროვებენ კიდევაც ძალებს საზღვრებთან. ასეთი ამბების მოლოდინში უკვე მოხდა შეთანხმება საქსონიისა და ტიურინგიის მთავრობათა შორის. ამნაირათ გაინასკვა მჭიდრო კავშირი შუა გერმანიის ამ ორ მთავრობათა შორის, და ეს კავშირი არის დღეს მიმზიდველი ცენტრი სხვა სახელმწიფოებისთვისაც. დასაწყისი მიეცა წითელი მთავრობების ორგანიზაციას, რომელიც თანდათან გაფართოვდება და გაიზრდება. ამას ხელს უწყობს საერთო მისწრაფება მთლიანი ფრონტისკენ სოც.-დემოკრატიის მიმდევარ მუშების დიდ უმრავლესობაში, რომელიც აუმხედრდა შემთანხმებელ ბელადებს.

მუშათა კლასი ირაზმება მომავალი გადამწყვეტი ბრძოლისათვის გერმანიაში. პირველი სახელმწიფოებრივი გამოხატულება უკვე ჰპოვა ამ მუშაობამ საქსონიის ახალი მთავრობის შედგენაში და მის მჭიდრო დაკავშირებაში ტიურინგიასთან. და მხოლოთ ამ გზით გაიმარჯვებს გერმანიის რევოლიუცია და მასთან ერთათ რევოლიუციაც ევროპაში.

გლეხობის საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვში ამჟამად მიმდინარეობს გლეხთა საერთაშორისო კონფერენცია.

გლეხობა არა მარტო ჩამორჩენილ, არამედ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც მთელი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენს. იგი ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს შრომასა და კაპიტალს შორის არსებულ დავაში, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი სოციალური კატეგორია, არამედ ისეთი ძალა, რომელსაც იყენებს შექმნილ პირობების მიხედვით ან კლასი კაპიტალისტების, ან პროლეტარიატი. რომელ მათგანს ის მიემხრობა, გამარჯვების სასწორიც მისკენ იხრება. თავის თავად კი გლეხობა მერყევ მასას წარმოადგენს, ის ქანაობს მსხვილ ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის, ხოლო თუ მოიწადინებს საკუთარი გზით სიარულს, უეჭველად დამარცხდება მისი ხვედრი. ბულგარეთის მაგალითმა სტამბულინსკის ცდამ გლეხური პარტიის პოლიტიკის გატარებისა, ეს ისტორიულად მჭერმეტყველურად დაამტკიცა. სტამბულინსკიმ ვერ შესძლო გლეხობის დაკმაყოფილება, ის მოექცა კაპიტალისტების გავლენის ქვეშ, და გლეხური ხელისუფლების იდეა სასტიკად დამარცხდა.

ამნაირად, საკითხი სდგას იმის შესახებ, თუ ვის უნდა დაუკავშირდეს გლეხობა თავის ინტერესების თვალსაზრისით.

უნდა ვიცოდეთ, რომ გლეხობა თავისთავად ერთფეროვანი მასა არ არის. მასში საკმაო დიფერენციაციას აქვს ადგილი. კულაკი, შუათანა და ლატაკი გლეხობა,—აი სამი მისი ელემენტი.

ლატაკი გლეხობა მემამულეების და ბურჟუაზიის ექსპლოატაციას არა ნაკლებ განიცდის, ვინემ მუშათა კლასი. კიდევ მეტი: თუ უკანასკნელს, თავისი ორგანიზაციული დარაზმულობის წყალობით შეუძლია მედგარი ბრძოლა თავისი ინტერესებისათვის, ღარიბი გლეხობა დაქსაქსულია და სავსებით დაბეჩავებულია მემამულეების და ბურჟუაზიის სიერ. მის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენს მჭიდრო დაკავშირება მუშათა კლასთან და საერთო ძალღონით ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ.

არც გლეხობის საშუალო წრეს ადგია კარგი დღეები. ბურჟუაზიის ჩაგვრას ისიც ძლიერად განიცდის, ამასთან მთელი ცხოვრების პროცესი მათ მიაქანებს გაღატაკებისაკენ. ამნაირად, ისიც უნდა იყოს ბუნებრივი მოკავშირე პროლეტარიატის.

გლეხური მასის დასაპყრობად, მისი თავის გავლენის ქვეშ მოსაქცევად იბრძვის როგორც ბურჟუაზია, ისე მუშათა კლასი.

მშრომელი გლეხობის ინტერესი მოითხოვს მის დარაზმვას მუშათა კლასთან ერთად. მხოლოდ ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით და დახმარებით შესძლებს ის მდგომარეობის გაუმჯობესებას, თავის განთავისუფლებას მემამულეების და სხვა ექსპლოატატორების ულლიდან. გამარჯვება მუშათა კლასის საწინდარია გლეხების გამარჯვების. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. მხოლოდ აქ მოხდა უდიდესი აგრარული რევოლიუცია, ალაგმულ იქნენ მემამულეები და მიწა-წყალი გადაეცა მშრომელ გლეხობას. და ეს იმიტომ, რომ აქ გამარჯვებულია მუშათა კლასი.

ამ გამარჯვების საფუძველია მჭიდრო კავშირი პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის. უკანასკნელი აქტიურად უჭერს მხარს მუშათა კლასს, მასთან იზიარებს ძალა-უფლებას, იცავს და ამტკიცებს მას.

რევოლიუციის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვებისათვის, მუშების და გლეხების განთავისუფლებისათვის აუცილებელია ყველგან, ყოველ ქვეყანაში მშრომელი გლეხობის დარაზმვა მუშათა კლასთან ერთად, მათ შორის მჭიდრო და მძლავრი კავშირის გაბმა. მაგრამ ეს ცოტაა. ეს პროცესი არ უნდა შემოიფარგლოს ცალკე ქვეყნების საზღვრებით. საჭიროა მშრომელ გლეხობის საერთაშორისო გაერთიანება კომინტერნის ხელმძღვანელობით.

ცდა გლეხობის საერთაშორისო, პირველ ყოვლისა კი ბალკანეთის გლეხობის დამოუკიდებელი გაერთიანებისა მოახდინა სტამბულინსკიმ. მაგრამ ეს უშედეგოდ დარჩა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ გლეხობას, თავისი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება. სტამბულინსკის ცდა რო განხორციელებულიყო, ეს უეჭველად იქნებოდა რეაქციონური მოვლენა, გლეხთა გაერთიანება გამოყენებული იქნებოდა მუშათა კლასის და სოციალისტური რევოლიუციის წინააღმდეგ.

გლეხთა არა ასეთი ყვითელი კავშირის შექმნა, როგორიც განზრახული ჰქონდა სტამბულინსკის, არამედ მათი დარაზმვა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით და კომინტერნის დროშის ქვეშ და ამგვარად გლეხების აქტიური ჩაბმა რევოლიუციაში,—აი ჩვენი მიზანი.

მოსკოვში შეკრებილი, გლეხთა საერთაშორისო კონფერენცია პირველი ცდაა ამ ამოცანის მსოფლიო მასშტაბით განხორციელებისა.

მშრომელი გლეხობის სახით მუშათა კლასს ჰყავს მილიონიანი რეზერვები მსოფლიო ბურჟუაზიასთან გადამწყვეტ ბრძოლების წარმოებისათვის.

პროლეტარიატი მოახერხებს ამ მილიონების დარაზმვას და მათ ჩაბმას შრომის საბოლოო განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი პრესის გარშემო
VI *)
გაზეთის გავრცელება

წინა წერილებში აღვნიშნეთ ჩვენი პრესის ნაკლულოვანებანი **) და მივუთითეთ მათ ასაცილებლად საჭირო ზოგიერთ საშუალებაზე. ჩვენ უმთავრესად ვლაპარაკობდით გაზეთის შინაარსის გაუმჯობესების შესახებ.

დღეს სპეციალურად მინდა შევეხო ერთ საკითხს, სახელდობრ გაზეთის გავრცელების საქმეს ჩვენში.

გაზეთის იდეურ მხარის უკეთ დაყენება, მისი შინაარსის სიმდიდრე და მრავალფეროვანება თავის თავად, ეჭვი არ არის, დიდად შეუწყობს ხელს გაზეთის გავრცელებას. მაგრამ ამისათვის მარტო ეს არ არის საკმარისი.

გაზეთის გავრცელებას ჩვენში მრავალი დაბრკოლება ეღობება.

პირველ ყოვლისა ჩვენი საერთო უკულტურობა, უსწავლელობა. განა დიდი პროცენტია ჩვენში ისეთი მოქალაქეების, განსაკუთრებით პროვინციაში, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ გაზეთის წაკითხვა და გაგება?—ძალიან მცირე. ასეთია ძველი რეჟიმიდან ნაანდერძევი მემკვიდრეობა, რომლის სალიკვიდაციოთ საბჭოთა ხელისუფლებას უხდება უამრავ საშუალებათა და შრომის დახარჯვა. მოსპობა წერა-კითხვის უცოდინარობისა ამ სიტყვის არა მარტო ვიწრო, არამედ ფართო მნიშვნელობით,—ერთი ძირითადი პირობათაგანია ჩვენი ხალხის კულტურული და ყოველგვარი წინმსვლელობის, კერძოთ ეს მთავარი პირობა გაზეთის ტირაჟის გასაზრდელად, ისეთი მდგომარეობის შესაქმნელად, როცა გაზეთი გადაიქცევა ყოველი მოქალაქის, თვით მიყრუებული სოფლის მცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებად. მაგრამ ეს მთელი წლების საკითხია. ჩვენ კი ვლაპარაკობთ დღევანდელ დღეზე. როგორ უნდა მოუაროთ საქმეს დღეს, როგორ დავაინტერესოთ გაზეთით ფართო უსწავლელი მასა?

ამისათვის ჩვენ ერთ მთავარ საშუალებად მიგვაჩნია გაზეთის საჯარო კითხვის მოწყობა იმათთვის, ვისაც ეს თვითონ არ შეუძლია.

ამ საქმის ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობაში უნდა ჩავაბათ პოლიტწრეები, მოწინავე პარტიული ამხანაგები, მასწავლებლები, სამკითხველოების გამგეები და სხ.

თუ როგორ უნდა გატარდეს ეს მუშაობა ფაქტიურად, ის დამოკიდებულია ადგილობრივი კონკრეტულ პირობებზე, რომელთა შესწავლა და მათი მიხედვით საქმის წარმართვა უნდა დაეკისროს სათანადო პარტორგანიზაციას.

ამ გზით ჩვენ შევსძლებთ ფართო მშრომელი მასის დაინტერესებას გაზეთით, მის კულტურულ ამოძრავებას.

როცა ამგვარად ხალხს შეძლება მიეცემა გაზეთით სარგებლობის, მისი საშუალებით მიმდინარე ამბების და მთელი ცხოვრების გაცნობის, ის კიდეც გამონახავს გაზეთის შესაძენად საჭირო ფულს.

მართალია, მშრომელი ხალხი, კერძოდ გლეხობა ხელმოკლეობას განიცდის, ბევრი მათგანი ცალკე ვერ გამოიწერს გაზეთს, მაგრამ შეერთებული ძალით, სამი, ხუთი, ათი კაცი, ამას ადვილად შესძლებენ.

ასევე ითქმის გაზეთის გამოწერაზე წერა-კითხვის მცოდნე ხელმოკლე ელემენტების მიერ, რომელნიც დარაზმული არიან პარტიულ, პროფესიულ ტ სხვა ორგანიზაციებში.

ოღონდ საჭიროა გაზეთზე ხელის მოწერას მიეცეს ორგანიზაციული და სისტემატიური ხასიათი, წინასწარ დაწერილებით გამომუშავებულ გეგმის მიხედვით.

ჩვენ ხშირად ვაწარმოებთ ერთდროულ კამპანიებს ამა თუ იმ საკითხზე. ამ კამპანიებს, უეჭველია, თავისი მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ პრესის გავრცელების საქმეში ასეთი ერთდროული კამპანია ოდნავადაც არ არის საკმარისი. გაზეთის გავრცელება უნდა შედიოდეს ჩვენი მუშაობის სისტემაში, როგორც ერთი მუდმივი მუხლთაგანი. კერძოდ საჭიროდ ვთვლით, რომ სათანადო პარტორგანიზაციამ თუ სხვა დაწესებულებამ და პირმა ყოველ თვის ბოლოში მიიღონ საჭირო ზომები გაზეთების გამოსაწერად შემდეგი თვისათვის თავიანთ სამოქმედო რაიონში. ადგილობრივმა პარტორგანიზაციამ ყოველთვიურად უნდა წარუდგინოს უმაღლეს პარტიულ ინსტანციას ანგარიში, რა გაკეთდა, რა ნაბიჯები იქნა გადადგმული ამ სფეროში, რა უშლიდა ხელს გაზეთის გავრცელებას და სხვ. ანგარიშში უნდა იყოს მოცემული სრული სურათი გაზეთის გავრცელების საქმის და ჩამოთვლილი მიღებული და განზრახული ღონისძიებანი ამ დარგში.

ბევრ ჩვენს ამხანაგს საქმე ისე წარმოუდგენიათ, რომ გაზეთის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა თითქო არ შეადგენდეს მათ პირდაპირ პარტიულ მოვალეობას. დროა განვთავისუფლდეთ ამ მცდარ და მავნე შეხედულებისაგან. ყოველი პარტიული ორგანიზაცია, ყოველი პარტიული ამხანაგი ვალდებულია აგიტაციით, ორგანიზაციულად, მატერიალურად, ყოველმხრივ დაგვეხმაროს გაზეთის გავრცელების საქმეში.

ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ კიდევ საკითხის ერთ მხარეს, სახელდობრ იმ დაბრკოლებას, რომელიც ეღობება გაზეთის გავრცელებას ჩვენი ექსპედიციის მოუწყობლობით.

გაზეთის გამომწერის სურვილს ანელებს და ხშირად სრულებითაც აქარწყლებს ის გარემოება, რომ გაზეთი ბევრ მის გამომწერს მიუდის ძალიან დაგვიანებით ან მისი ზოგი ნომერი სულ არ მიუდის.

გაზეთების ცენტრალური ექსპედიცია ამ საქმეს მარტო ვერ გამოასწორებს. საჭიროა, ერთი მხრივ, ტრანსპორტის და კერძოდ ფოსტის უკეთ მოგვარება, მეორე მხრივ—იმ ორგანიზაციების მიერ დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულება, რომელთაც იგზავნებათ გაზეთები, თავიანთი წევრებისათვის დასარიგებლად. თორემ არაფერს ჰგავს ისეთი მდგომარეობა, როცა რომელიმე სამაზრო ცენტრის პროფკავშირში ან სხვა ორგანიზაციაში კვირეებით ჰყრია გაზეთები და მათ გაგზავნაზე ადრესატებისათვის არავინ იწუხებს თავს.

გაზეთის გამოწერისათვის ფართო საგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობის სისტემატიურად წარმოება და მისი თავის დროზე ტ უკლებლად მიღების მოწესრიგება შეუდარებლად გაზრდის გაზეთის ტირაჟს, საგრძნობლად გააფართოვებს მის მკითხველთა რაოდენობას.

ამ ამოცანის განხორციელებისაკენ უნდა იქნეს მიქცეული ჩვენი პარტორგანიზაციების და ამხანაგების ყურადღება.

გ. ქ.

---

*) „კომუნისტი“ № 227.

**) უკანასკნელ წერილში პრესის შესახებ („კომუნისტი“ № 230) ამხ. ორაგველიძე აღნიშნავს: „ჩვენი პრესა უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე ეს წარმოდგენილი აქვს ამხ. გ. ქ-ს.“

უნდა შევნიშნო, რომ ჩვენი პრესის მდგომარეობა ფერადი ხაზებით არ დაგვიხატავს. მაგრამ სრული უარყოფა ჩვენი პრესის მიღწევების, არ დანახვა მისი დადებითი მხარეებისა—ეს თვალის დაბრმავება და უსამართლობა იქნებოდა.

რადიო-დეპეშები
(„ზაკროსტას“ ცნობები)

გერმანიის ამბები

საქსონიაში შესდგა წითელი მთავრობა 2 კომუნისტისაგან და 5 სოციალ-დემოკრატისაგან.

კამათი რეიხსტაგში. მთავრობის უფლებების გაფართოება. გერმანიის ფაშისტთა მეთაური ლიუდენდორფი დახმარებას სთხოვს მუსოლინს.

პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოწოდება.

ამერიკა იპყრობს გერმანიის ბაზარს.

იტალიას ეშინია საფრანგეთ-გერმანიის მრეწველთა გეგემონიის ევროპაში.

ბერლინის საქონლის ბირჟაზე ქაღალდის მარკას არ ღებულობენ.

წითელი მთავრობა საქსონიაში

ბერლინი. 10 ოქტ. საქსონიის მთავრობა შედგენილია 2 კომუნისტისა და 5 სოციალ-დემოკრატისაგან. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი—სოციალ-დემოკრატი ცეიგნერი; შინაგან საქმეთა მინისტრი—სოციალ-დემოკრატი ლიბმანი; ფინანსთა მინისტრი—კომუნისტი ბეტხერი; სახალხო მეურნეობის მინისტრი კომუნისტი—გეკერი; შრომის მინისტრი—სოციალ დემოკრატი—გრაუპე; იუსტიციის მინისტრი სოციალ-დემოკრატი—ნეი; სახალხო განათლების მინისტრი სოციალ-დემოკრატი—კლეიხნერი; სახელმწიფოს კანცელარიის უფროსი—კომუნისტი ბრანდლერი.

შეთანხმება კომუნისტებსა და სოციალ დემოკრატებს შორის მიღწეულია პროლეტარიატის შეიარაღების და პროლეტარულ რაზმების მოწყობის საფუძვლებზე ფაშიზმის წინააღმდეგ თავდაცვითი ბრძოლის მიზნით. კომუნისტებს ენიჭებათ კონტროლისა და მონაწილეობის უფლება შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებში, სადაც ისინი აგზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს.

დიდი კოალიციის აღდგენის შემდეგ

კულიჯი ირკვევს გერმანიის გადახდის უნარიანობას.

რომი. 12 ოქტ. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკის პრეზიდენტმა კულიჯმა განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობას განზრახული აქვს თხარი დაუჭიროს ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოების წინადადებას ექსპერტთა საერთაშორისო კომისიის შედგენის შესახებ, გერმანიის გადახდის უნარიანობის გამოსარკვევად.

რეიხსტაგში.

რომი 12 ოქტ. დღეს, პარასკევისათვის დანიშნულია მესამე მუხლობრივი განხილვა კანონპროექტისა მთავრობისათვის საგანგებო უფლებების მინიჭების შესახებ.

ამერიკა დაინტერესებულია.

რომი. 12 ოქტ. ადასტურებენ, რომ ამერიკის დიდი კონსორციუმები დაინტერესებული არიან გერმანიის საემისიო ბანკის დაარსებით ვალიუტის კურსის სტაბილიზაციის მისაღწევად. კონსორციუმებს განზრახული აქვთ მისცენ გერმანიას დიდი კრედიტები.

ბერლინი. 12 ოქტომ. გაზეთების ცნობით, 16 ოქტომბერს ვაშინგტონში მყოფი გერმანელი ელჩი ვიტფელი მიემგზავრება ამერიკაში. პოლიტიკურ წრეებში მის გამგზავრებას უკავშირებენ გერმანიის მოლაპარაკებას ამერიკელ ფინანსისტებთან კრედიტების აღების შესახებ.

ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ.

ბერლინი. 12 ოქტომბერი. მთავრობისათვის განსაკუთრებულ უფლებების მინიჭების კანონპროექტის მესამე მუხლობრივი განხილვა რეიხსტაგმა შაბათისათვის გადასდო. ფიქრობენ რომ კანონპროექტის მიღება უზრუნველყოფილია.

ფასების მოწესრიგების ცდა.

ბერლინი. 12 ოქტომბერი. ბერლინში მოსალოდნელ უწესოების მიმართ, გენერალმა კორნმა გამოაქვეყნა ბრძანება, რომელიც კრძალავს პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების მომატებას.

„ქაღალდის დეკრეტი“.

ბერლინი. 12 ოქტომბერი არმიის მეხუთე დივიზიის სარდალმა გენერალმა რეინგარდტმა, ისარგებლა რა საალყო მდგომარეობით, აკრძალა ტიურინგიაში პროლეტარულ რაზმების შედგენა. ტიურინგიის კომუნისტური პრესა დასცინის ასეთ ბრძანებას, უწოდებს რა მას „ქაღალდის დეკრეტს“, ვინაიდან ამ პრესის აზრით რეინგარდტი ვერ შეასრულებს მას.

„დეიჩე ცეიტუნგის“ დახურვა

ბერლინი. 12 ოქტომბერი. თავდაცვის მინისტრმა დახურა გაზეთი „დეიჩე ცეიტუნგი“ (შ ვრაზმელ მონარქისტების გაზეთი) ყ ლბი ცნობების მოთავსებისათვის.

პროლეტარიატი სადარაჯოზე.

ბერლინი 12 ოქტომბერი. ვინაიდან გავრცელდა ხმები საქსონიის მთავრობის წევრებზე თავდასხმის შესახებ, შემოღებულია საქსონიის ლანდტაგის გაძლიერებული დაცვა.

მუსოლინს სთხოვენ დახმარებას.

რომი. 12 ოქტომბერი. იტალიის ფაშისტური პარტიის მდივანმა მიიღო ცნობა საზღვარგარეთელ ფაშისტებისაგან, რომ ლიუდენდორფმა წინადადება მისცა ჰიტლერს, გაერთიანდენ და გაილაშქრონ ბერლინზე. ამ ცნობის გამო გერმანიაში მდგომარეობა მეტად სერიოზული გახდა. გერმანიის ფაშისტები აღფრთოვანებული არიან მუსოლინის და იტალიის ფაშისტების მოქმედებით და სთხოვენ მათ დახმარებას.

მუშები წინააღმდეგობას უწევენ მრეწველებს.

პარიზი. 11 ოქტომბერი. როგორც ჩანს, რურის მრეწველებს მოუხდებათ გამოეთხოვონ აზრს სამუშაო დღის გადიდების შესახებ.

ჰელზენკირხენში პროფკავშირთა და ცალკე წარმოებების მუშათა დელეგატების კრებაზე გადაწყდა, რომ მაღაროების მეპატრონეთა ცდა გაადიდონ სამუშაო დღე—უკანონოა. კრების ნაწილმა მეტათ მკაცრი პოზიცია დაიჭირა მწარმოებლების წინააღმდეგ.

რურის მაღაროების მუშების ქრისტიანულმა კავშირებმა რეზოლიუცია გაუგზავნეს ბერლინის მთავრობას, რომელშიაც მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ იქნენ დატუსაღებულნი მაღაროების მეპატრონეები მუშათა კანონმდებლობისა და ქვეყნის კონსტიტუციის დარღვევისათვის.

შექმნილ მდგომარეობის გამო, მაღაროების მეპატრონეებმა ბრძანება გამოსცეს, რომ შეცვლილი იქნეს განცხადებები ომამდი არსებულ სამუშაო დღისკენ დაბრუნების შესახებ, ახალი განცხადებებით, რომელშიაც ნათქვამი ა, რომ დროებით სამუშაო დღის ხანგრძლივობა არ აქნება გადიდებული და რომ ბერლინში საჩქაროთ დაიწყება მოლაპარაკება მაღაროების მეპატრონეთა და მუშების წარმომადგენლებს შორის ამ საკითხის გადასაწყვეტათ.

იტალიის დამოკიდებულება მრეწველთა მოლაპარაკებისადმი.

რომი. 11 ოქტომბერი. „ნიუ-იორკ ტაიმს“-ის რომის კორესპონდენტი ატყობინებს თავის გაზეთს, რომ იტალიის მთავრობა დაშინებულია იმით, რომ შეთანხმებას საფრანგეთსა და გერმანიას შორის შეუძლია შექმნას საფრანგეთ-გერმანიის სამრეწველო ჰეგემონია ევროპაში. იტალიის მთავრობას შიში აქვს აგრეთვე იმის, რომ მისდამი კუთვნილი კონტრიბუციის ნაწილი შეიძლება შემცირებულ იქნეს. მთავრობა შემდეგ ფიქრობს, რომ საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკებამ შეიძლება ცუდათ იმოქმედოს სხვა სახელმწიფოების ინტერესებზეც საკონტრიბუციო საკითხის განხილვისა და გერმანიის კონტრიბუციის რაოდენობის საბოლოო დაწესების დროს.

იტალიის მთავრობამ დაავალა თავის წარმომადგენლებს პარიზში, ბრიუსელში და ბერლინში თვალყური ადევნონ გერმანიასთან მოლაპარაკების მსვლელობას იმისათვის, რომ საჭირო მომენტში კატეგორიულათ განაცხადონ იტალიის უფლების შესახებ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ საკითხებში, რომელნიც დაკავშირებული არიან კონტრიბუციასთან.

დოლარი—შვიდი მილიარდი.

ბერლინი. 11 ოქტომბერი. დღეს დილიდანვე დოლარი ღირდა 7 მილიარდი.

მათხოვდაც იმოქმედა.

ბერლინი 11 ოქტ. რურის ქრისტიანულმა პროფკავშირებმა დაადგინეს შესწყვეტონ მოლაპარაკება მწარმოებლებთან და მოითხოვს რურის მრეწველების დაპატიმრებას სახელმწიფო ღალატისათვის.

რატომ დახურეს ხელახლა „როტე ფანე“

ბერლინი 11 ოქტ. „როტე ფანე“ დახურეს იმის გამო, რომ მან მოათავსა მოწოდება საყოველთაო გაფიცვისაკენ და მიმართა ასეთივე მოწოდებით რეიხსვერის ჯარისკაცებს, რათა ისინი არ დამორჩილებოდენ ოფიცრებს და გაეძლიერებიათ პოლიტიკური მუშაობა არმიაში.

რურის ოკუპაცია და ინგლის-საფრანგეთის კაპიტალიზმი

რა უჯდება საფრანგეთს რურის ოკუპაცია? საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობების თანახმად, სამოქალაქო მიზნებისათვის დახარჯულია 145 მილიონი ფრანკი, სამხედრო მიზნებისათვის—176 მილ. ფრ.—რკინის გზების საჭიროებას მოხმარდა—1 427 000.000 ფრანკი. რკინისგზების საჭიროებისათვის დახარჯულ თანხის სიდიდე გასაგები იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ რურის ოლქში გადაზიდული იყო 12000 ფრანგი რკინისგზელი, რომელნიც, გარდა სურსათისა, იღებდენ ორმაგ ჯამაგირებს. როგორია შემოსავალი რურის ოკუპაციისაგან? სენატორ ბერანჟეს მოხსენების თანახმად, რურის ოკუპაციისაგან მიღებული შემოსავალი 1 ივნისამდე გამოიხატა შემდეგ ციფრებში:

გადასახადი ნახშირზე	930.000 ფრ.
საბაჟო გადასახადი	4.111.000 „
სალიცენზიო გადასახ.	3.0420,00 „
გადასახ. ხე ტყეზე	5 213.000 „
ფულით დაჯარიმება და კონფისკაციები	64.000.000 „
ნახშირის და კოქსის კონფისკაცია	296.336.000 „
სულ	373 632.000 ფრ.

თუნდაც ამ მეტად ოპტიმისტურ ცნობების თანახმად, რურის საოკუპაციო ხარჯები გაცილებით მეტია, ვიდრე მიღებული შემოსავალი. 20 ივნისამდე საფრანგეთმა მიიღო რურის ოლქიდან 528.000 ტონა კოქსი. თუ ამ რაოდენობას გავყოფთ ოკუპაციის 160 დღეზე, საშუალოთ დღეში იქნება 3.300 ტონა ე. ი. ერთი მეოთხედი იმ რაოდენობისა, რომელსაც საფრანგეთი იღებდა გერმანიიდან ყოველდღიურად რურის ოლქიდან ოკუპაციამდე. კოქსის იმპორტის ასეთმა შემცირებამ, თავისთავად ცხადია, დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთის რკინის და ფოლადის მრეწველობაზე იმ დროს, როდესაც წარსული წლის დეკემბერში საფრანგეთში მუშაობდა 116 ღუმელი, ა. წ. ივნისში მუშაობდა სულ 99. ფოლადის ჩამომსხმელ წარმოებათა პროდუქცია, რომელიც წარსული წლის დეკემბერში გამოიხატებოდა 415.000 ტონაში, ა. წ. თებერვალში უდრიდა 290.000 ტონას, მარტში—316 000 ტ., აპრილში—355.000 ტ. და მაისში—388 000 ტ. 1923 წლის პირველ 6 თვის განმავლობაში საფრანგეთი იძულებული იყო შემოეტანა საზღვარგარეთიდან ნახშირი 1.692.000.000 ფრანკის საღირებელი, ე. ი. 482.000 000 ფრანკით მეტი, ვიდრე იმავე პერიოდში წარსულ წელს.

საფრანგეთის „ფოლადის ჩამომსხმელ მრეწველობის კომიტეტმა“ თავის უკანასკნელ წლიურ ანგარიშებში აღნიშნა, რომ რურის ოკუპაციამ დაამტკიცა საფრანგეთის მრეწველობის დამოკიდებულება რურის კოქსზე. ეს განცხადება ერთხელ კიდევ ამტკიცებს საფრანგეთის ე. წ. „ფოლადის მრეწველობის კომიტეტის“ გავლენას საფრანგეთის პოლიტიკაზე. თუმცა ამას წინად ბატონი რომიე ამტკიცებდა საფრანგეთის მძიმე მრეწველობის ორგანოში „ჟურნელ ინდუსტრიაელში“, რომ ფოლადის მრეწველობის კომიტეტი არ არის პასუხისმგებელი პუანკარეს პოლიტიკისათვის, რადგან საფრანგეთის მრეწველებმა და განსაკუთრებით „ფირმა დევენდელმა“ უფრო მეტი ზარალი ნახეს რურის ოკუპაციისაგან, ვიდრე სარგებლიო.

მაგრამ თავის გამართლების ცდა ვერავის ვერ შეიყვანს შეცდომაში. ასე მაგ. ინგლისის ხელმძღვანელი ეკონომიური ორგანო „ფინანსმელ ნიუზი“ სწერდა 10 ივლისს: „საფრანგეთის პოლიტიკა გამოწვეულია „ფოლადის მრეწველობის კომიტეტის“ მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის მიზანი მდგომარეობს იმაში, რათა მოიპოვოს საფრანგეთს მონოპოლია ფოლადის და რკინის წარმოებებში. დაიკავა რა რური, საფრანგეთმა ხელში ჩაიგდო კონტროლი მთელი ნახშირის პროდუქციის სამ-მეხუთედზე და ევროპის რკინის და ფოლადის პროდუქციის 3 5 ზე მეტზე. ამგვარად საფრანგეთის ოცნება—ევროპაში ეკონომიური ბატონობის მოპოვების შესახებ, სავსებით განხორციელდა“.

ინგლისის გაზეთის შიში, რომელიც გამოწვეულია ამგვარი საქმის ვითარებით, სავსებით გასაგებია. კიდევ უფრო აშკარად ლაპარაკობს კომერციული გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“ ა. წ. 25 თებერვლის ნომერში.

„რურის ოკუპაციას შეუძლია გამოიწვიოს საფრანგეთის ბატონობა რკინის და ფოლადის მრეწველობაში. ამ მხრივ საფრანგეთი დადგება შეერთებულ შტატებთან ერთნაირ დონეზე.

ამ მიზნის მიღწევას საფრანგეთი შესძლებს ან გერმანიის მრეწველობის სრული განადგურებით ან საფრანგეთ-გერმანიის ფოლადის ტრესტის დაარსებით.

ორივე შემთხვევაში ბრიტანეთის მრეწველობა მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება, ინგლისის რკინის და ფოლადის მრეწველობა სავსებით განადგურდება ერთის მხრივ საფრანგეთ-გერმანიის და მეორეს მხრივ ამერიკის მეტოქეობით“.

მეტად დამახასიათებელია ინგლისის ელექტრო-ტეხნიკურ მრეწველობის ერთ-ერთ ხელმძღვანელის, გენერალურ დირექტორის გერსტონის განცხადება საზოგადოების საერთო კრებაზე, 11 ივლისს ლონდონში: „ვფიქრობ, რომ ზოგიერთ ჩვენგანს ფრანგების მიერ რურის დაკავებამ მოუტანა დროებითი სარგებლობა. ელექტრო-ტეხნიკურმა მრეწველობამ აგრეთვე მიიღო დაკვეთა, რადგან გერმანიას არ შეუძლია ამჟამათ ამ დაკვეთის შესრულება. მაგრამ საერთოდ საფრანგეთის მიერ რურის დაკავება სავსებით მოსპობს გერმანიის და საერთოდ მთელი ცენტრალური ევროპის ყიდვის უნარიანობას. მარკის კურსის დაცემა არის მიზეზი ლანკაშირსა და იორკშირში გაზრდილ უმუშევრობის.

განა უმჯობესი არ იქნებოდა, თუ ლანკაშირს და იორკშირს ექნებოდათ თავის პროდუქციის გასაღების საშუალება? მარკის კურსის დაცემას შედეგად მოჰყვა ის, რომ ინდოეთს, ჩინეთს, ავსტრალიას, არგენტინას და ბრაზილიას არ აქვთ საშუალება გაასაღონ თავიანთი ნედლი მასალის დიდი ნაწილი. ამით ისინი ღარიბდებიან და აღარ გვიკვეთავენ ჩვენ საქონელს, რომლის გატანითაც ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნისათვის ლუკმა პური. თუ საფრანგეთი სარეპარაციო გადასახადების ანგარიშში მიიღებს ნატურალურ გადასახადს და მიღებულ საქონელს ის გაიტანს მსოფლიო ბაზარზე, ესეც დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენს მრეწველობას; თუ საფრანგეთი ანგარიშს არ გაუწევს სხვა ქვეყნების საწარმოვო ხარჯებს და მსოფლიო ბაზარზე გაიტანს ძალდატანებით მიღებულ ან კონფისკაციით ჩამორთმეულ საქონელს,—ეს მეტად ცუდ გავლენას მოახდენს სხვა ქვეყნების მრეწველობაზე და გაზრდის უმუშევრობას“.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ რურში საფრანგეთის პოლიტიკის განგრძობა ბოლოს მოუღებს კავშირს საფრანგეთის და ინგლისის კაპიტალიზმს შორის.

ი. დ.

კამათი რეიხსტაგში

მთავრობის უფლებათა გაფართოება.

ბერლინი. 11 ოქტ. რეიხსტაგში პირველ და მეორე წაკითხვის შემდეგ კანონ-პროექტი მთავრობის უფლებათა გაფართოების შესახებ მიღებულ იქნა ხმათა უმნიშვნელო უმრავლესობით. კომუნისტებისა და ნაციონალისტების მოთხოვნილებით, კანონ-პროექტი ხუთშაბათს მესამეჯერ იქნება გარჩეული.

საპარლამენტო სისტემა არარათ იქცა.

პირველ გარჩევისას ნაციონალისტმა ჰელფერიხმა მოითხოვა კანონ-პროექტის გადაცემა კომისიისათვის, რის წინააღმდეგ გამოვიდა დემოკრატი შიფერი. კომუნისტმა ფრეილიხმა აღნიშნა, რომ კანონ-პროექტი სრულიად სპობს საპარლამენტო სისტემას. მან სთქვა, რომ რევოლიუციონურ ეპოქაში საჭიროა დიქტატურა, მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის მაგიერ გერმანიაში სტინესის დიქტატურა მყარდება. სოც.-დემოკრატ მიულერმა მოითხოვა კანონ-პროექტის ვადის განსაზღვრა 1925 წლის 1 იანვრამდე და განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატები ხმას მისცემენ კანონ-პროექტს. სახალხო პარტიის სახელით გუგომ განაცხადა, რომ მისი პარტია, კანონ-პროექტისათვის ხმის მიცემის დროს ხელმძღვანელობს მხოლოდ პატრიოტული მოსაზრებით.

„გერმანიის ხალხის ღირსების დაცვა“.

სახალხო თავისუფლების ტევტონურ პარტიის წარმომადგენელმა ვულემ განაცხადა, რომ მისი პარტია კანონპროექტის წინააღმდეგ მისცემს ხმას, რადგან გერმანელ ხალხის ღირსების გადაცემა სოციალ დემოკრატების მზრუნველობის ქვეშ შეუწყნარებელია. შინაგან საქმეთა მინისტრმა სოციალ-დემოკრატ ზოლმანმა ამაზე განაცხადა, რომ იგი უარს ამბობს ვულესთან კამათზე გერმანიის ღირსების დაცვის შესახებ, რადგან იგივე ვულე მთავრობისადმი გაგზავნილ დეპეშაში ემუქრებოდა მას, რომ გერმანიის კუნძული ბ.ირკუმი ჰოლანდიის მფარველობის ქვეშ გადავა, უკეთუ კომუნისტების გამოსვლები კიდევ გაგრძელდება. ასტყდა საშინელი აურზაური.

სტინესის მოღალატური მოლაპარაკება დეგუტთან.

მთავრობის სახელით ზოლმანმა განცხადება გააკეთა სტინესისა და დეგუტის მოლაპარაკების შესახებ და აღნიშნა, რომ სტინესი მოლაპარაკებას აწარმოებს სამთომადნო მრეწველთა დავალებით, რომლებიც ცდილობენ შეთანხმებით თავისი მოქმედება შტრეზემანის მთავრობის მოქმედებებთან, რაც ვერ მოხერხდა მთავრობის კრიზისის გამო. დიუსელდორფიდან დაბრუნებისას სტინესმა დაუყოვნებლივ აცნობა მთავრობას მოლაპარაკების შედეგის შესახებ.

ბავარიის სახალხო პარტიის წარმომადგენელმა, ნაციონალისტების სასიამოვნოთ, განაცხადა, რომ მისი პარტია შეუძლებლად სთვლის ეხლანდელ შემადგენლობის მთავრობისათვის სრული ხელისუფლების გადაცემას, რის გამო პარტია ხმას მისცემს კანონპროექტის წინააღმდეგ.

სახალხო პარტიის მემარჯვენე ფრთის სახელით შტოლცმა განაცხადა, რომ სტინესის წერილი შტრეზემანის მიმართ 10 ულტიმატიური მოთხოვნილებით დამახინჯებულია პრესის მიერ.

კანონპროექტის მეორეთ გარჩევის შემდეგ კომფრაქციამ წინადადება წამოაყენა რეიხის მრეწველთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ სახელმწიფო ღალატისათვის.

ჰელფერიხმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებთან ცალკე მოქალაქეთა მოლაპარაკება მთავრობისაგან დამოუკიდებლათ შეუწყნარებელია და განაცხადა, რომ სტინესი და სხვები მოქმედობდენ საკუთარ პასუხისმგებლობის ქვეშ ეს განცხადება მოწმობს, რომ მსხვილ მრეწველობისა და ნაციონალისტებს შორის უთანხმოება დაიბადა, რაც ამაგრებს შტრეზემანის პოზიციას.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადება ახალ კანონის მოქმედების სფეროდან უმუშევართა დახმარების საკითხის გამორიცხვის შესახებ და აგრეთვე ნაციონალისტებისა და ბავარიის სახალხო პარტიის წინადადება რეიხსტაგის დახურვის შესახებ ახალ კანონის მოქმედების განმავლობაში,—უარყოფილია.

დემოკრატების წინადადება სახელმწიფო მოსამსახურეთა რიცხვის შემცირების შესახებ მიღებულია, რეიხსტაგი კანონპროექტის დამუშავებას შეუდგა.

მუშურ-გლეხური მთავრობისათვის ბრძოლა გრძელდება

მოლაპარაკება საქსონიაში მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნისათვის.

ბერლინი. 11 ოქტომბერი. საქსონიაში მუშათა და გლეხთა მთავრობის დაწესებისათვის მოლაპარაკების დროს კომუნისტები მოითხოვენ მთავრობაში არა ორს, არამედ სამ ადგილს იმ შემთხვევაში, თუ შინაგან საქმეთა მინისტრი სოციალ დემოკრატი იქნება.

აღფრთოვანება წითელ კავშირის გამო.

ლონდონი. 11 ოქტომბერი. ინგლისის ტრანსპორტის მუშათა ბელადმა რობერტ ვილიამსმა აღტაცებით აღნიშნა საქსონიისა და ტიურინგიის წითელი კავშირი და აგრეთვე სტინესისადმი გერმანელ მუშათა წინააღმდეგობა, ამის გამო ვილიამსმა მოიგონა მთლიანი ფრონტის ბრწყინვალე მაგალითი, რომელიც წარმოადგინა ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კავშირის კონფერენციამ რუსეთის სატრანსპორტო მუშების თანადასწრებით.

კოალიციონური მთავრობის ფასი.

ბერლინი. 11 ოქტომბერი. ბერლინის შავ ბირჟაზე დოლარი 7 მილიარდ მარკათ ფასობს. ოფიციალურ კურსით კი დოლარი 3 მილიარდ 300 მილიონს უდრის.

მარკა—მხოლოთ ფიქციაა

ბერლინი. 11 ოქტომბერი საქონლის ბირჟაზე ქაღალდის მარკის მიღება სრულიად შეწყდა.

გერმანიის ამბების გამოძახილი ს. ს. რ. კავშირში

გერმანელ მებრძოლთა სასარგებლოთ.

გომელი. 12 ოქტ. პრესის მუშაკთა სექციის კრებამ დაადგინა გადარიცხოს გერმანელ მუშათა სასარგებლოთ ერთდღიური ხელფასი. ასეთივე დადგენილება გამოტანილია გომელის სხვა წარმოებებში.

მებრძოლ გერმანელ ამხანაგების რიგებში ჩავდგებით.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 12 ოქტომბ. ქალაქის საბჭოს პლენუმზე გამოტანილია რეზოლიუცია, რომელიც მიესალმება ბურჟუაზიასთან გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმულ გერმანიის პროლეტარიატს. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ რუსეთის მუშები მზათ არიან ჩადგენ მებრძოლ გერმანელ მოძმეთა რიგებში.

საჭიროებისთანავე რუსეთის პროლეტარიატი დახმარებას აღმოუჩენს გერმანიის პროლეტარიატს.

ნიკოლაევი. 12 ოქტ. გერმანიის ამბების გამო გამართულ სრულიად პარტიულ კრებას დაესწრო 3 გერმანელი მეზღვაური—კომუნისტი. გერმანელ ამხანაგებს კრება მხურვალე ოვაციებით შეეგება. პრეზიდიუმში არჩეულმა გერმანელმა ამხანაგებმა იმედი გამოსთქვეს, რომ საჭირო მომენტში რუსეთის პროლეტარიატი დაეხმარება გერმანიის პროლეტარიატს.

გერმანია და ანტანტა

„დიდი სამსახური“.

პარიზი. 10 ოქტომბერი. „ტან“-ი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მოკავშირე მთავრობები, სჭრიან რა რურის კონფლიქტს უშუალო მოლაპარაკებით მრეწველებთან, უწევენ გერმანიის მთავრობას დიდ სამსახურს. „ჟურნალ დე დება“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობის მოლაპარაკება გერმანელ მრეწველებთან ასუსტებს სახელმწიფო ხელისუფლებას გერმანიაში. „ეკო დე პარი“ აღნიშნავს, რომ გერმანელი მრეწველები ცდილობენ რეპარაციის მთელი სიმძიმე გადაიტანონ გერმანიის პროლეტარიატზე. „იუმანიტე“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გერმანიის კაპიტალი ცდილობს შეუკავშირდეს საფრანგეთის კაპიტალს, მომავალი რევოლიუციის თავიდან აცდენის მიზნით.

მოლაპარაკება საფრანგეთის ხელისუფლებასთან.

ბერლინი 10 ოქტომბერი ესსენის სავაჭრო პალატა აწარმოებს მოლაპარაკებას საფრანგეთის ხელისუფლებასთან ეკონომიური მუშაობის განახლების შესახებ

საფრანგეთი არ ღებულობს გერმანიის ცდას.

პარიზი. 10 ოქტომბერი. პარიზში გერმანიის წარმომადგენლის ცდა, რათა დაეწყო უშუალო მოლაპარაკება საფრანგეთის მთავრობასთან მუშაობის განახლების შესახებ რურში, უნაყოფოდ დარჩა. საფრანგეთის ოფიციალური ცნობა აღნიშნავს, რომ საკითხი მუშაობის განახლების შესახებ უნდა გადაიჭრას უშუალო მოლაპარაკებით საოკუპაციო ხელისუფლებასა, მწარმოებლებსა და მუშათა ორგანიზაციებს შორის. ასეთი მოლაპარაკება სწარმოებს, მაშასადამე ზედმეტია მოლაპარაკება მთავრობებს შორის. გერმანიის მთავრობამ უნდა მიმართოს ახალი წინადადებებით სარეპარაციო კომისიას.

ამერიკა იპყრობს გერმანიის ბაზარს

ნიუ-იორკი. 10 ოქტომბერი. 8 თვის განმავლობაში ამერიკიდან გერმანიაში გაიგზავნა 500,00 შეკვრა ბამბა, 72 მილ. დოლარის ღირებულების. გერმანიამ შეისყიდა ამერიკაში სპილენძი და ხორცი. „ნიუ-იორკ ტაიმს“-ის ცნობით, ბერლინში დაიწყო მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ გერმანიასა და ამერიკას შორის.

„იუნაიტედ პრეს“-ის ცნობით, ამერიკის მთავრობა აწარმოებს ასეთსავე მოლაპარაკებას ავსტრალიასთან, ფინეთთან, ლიტვასთან და ესტონეთთან.

მასებს ეარშიყებიან.

ბერლინი. 10 ოქტომბერი. კარი ცდილობს მიიზიდოს მასების სიმპატიები; ამ მიზნით ის აიაფებენ ლუდს და ღებულობს სასტიკ ზომებს სპეკულიანტების წინააღმდეგ, რომელთაც მოელის სიკვდილით დასჯა ბავარიიდან უცხოეთში სურსათის გაზიდვისათვის.

კონტრ-რევოლიუციონური გადატრიალების პროექტი

პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოწოდება

ბერლინი. 10 ოქტ. „ფორვერტს“-ი აქვეყნებს პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის უმცირესობის და უმრავლესობის შეერთებულ მოწოდებას. მოწოდებაში ნათქვამია, რომ მთავრობის უკანასკნელი კრიზისის დროს სამხედრო პირები, გერმანიის ნაციონალისტები და სტინესის ჯგუფი აწარმოებდენ მოლაპარაკებას დაუყოვნებლივ შეიარაღებულ გამოსვლის შესახებ. გადაწყვეტილი იყო, რომ, საყოველთაო გაფიცვის შემთხვევაში მემამულეებს პროდუქტები უნდა მიეწოდებია მხოლოთ მომუშავე წარმოებათათვის. შედგენილი იყო კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა გენერალ მალვიცის მეთაურობით. მაგრამ, უკანასკნელ დროს მემამულეები და გერმანიის ნაციონალისტები გაითიშენ, რადგანაც სტინესის მიერ შედგენილი მთავრობა ატარებდა ცალმხრივ კაპიტალისტურ ხასიათს, რომელშიაც არ იყო საკმაოთ დაცული მემამულეების ინტერესები აგრეთვე ნაციონალისტებიც ვერ შეუთანხმდენ სტინესის პოლიტიკას, რადგანაც წინააღმდეგნი იყვნენ, საფრანგეთთან მოლაპარაკების. უთანხმოების გამო, აჯანყება გადაიდო კონტრ-რევოლიუციონურ ძალთა ერთიანი ფრონტის შექმნამდე.

მოწოდებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ პარტიის უმცირესობა აღიარებს, რომ უმრავლესობა, რომელმაც გადასწყვიტა დიდი კოალიციის მთავრობაში შესვლა, ხელმძღვანელობდა მხოლოდ სამოქალაქო ომის თავიდან აშორების განზრახვით. უმცირესობა კი ფიქრობდა, რომ უმრავლესობის გადაწყვეტილება მხოლოთ გააჭიანურებს კრიზისის გადაჭრას პროლეტარიატისათვის ხელსაყრელ მომენტამდე. უმრავლესობის აზრით, სოციალ-დემოკრატების მიერ მთავრობაში შესვლაზე უარის თქმა გამოიწვევდა მემარჯვენეების დიქტატურას.

მოწოდება აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატ—მინისტრების კონტროლი მთავრობაზე შეამცირებს რეაქციის საფრთხეს სოციალური კანონმდებლობის სფეროში და ამიტომ პარტიის ყველა წევრებმა ნდობა უნდა გამოუცხადონ მას.

გერმანიის ახალგაზრდათა კომკავშირის რიგების ზრდა

საუბარი ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის მდივანთან.

მოსკოვი. 12 ოქტომ. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის მდივანმა შაცკიმ განაცხადა, რომ გერმანიაში შემჩნეულია ახალგაზრდათა კომკავშირის რიგების ზრდა. პირველი აპრილისათვის გერმანიის ახალგაზრდათა კომკავშირში ირიცხებოდა 28,000 წევრი, ხოლო დღეს—55,000 წევრი. ამავე დროს სოციალისტურ მუშა-ახალგაზრდობის ორგანიზაციაში, რომელშიაც ითვლებოდა ნახევარი წლის წინად 100,000 კაცი, ამჟამად იშლება ორგანიზაციის მორიგი წევრები, რომელნიც უკმაყოფილონი არიან წინამძღოლთა ნაციონალისტურ პოლიტიკით და ფაშიზმისადმი მათი პასიური დამოკიდებულებით. მთელი ჯგუფებით გადადიან ახალგაზრდათა კომკავშირში. მიუხედავად ცეკას აღკრძალვისა მუშა-ახალგაზრდობის კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები ხშირ-ხშირად აწყობენ ახალგაზრ. კომკავშირთან ერთად ერთიანი ფრონტის ორგანოებს.

ბულგარეთი აჯანყების შემდეგ

ბულგარეთის რევოლიუციონერებს საშინელი ბედი მოელით.

ვენა. 11 ოქტომბერი. ბელგრადის გაზეთ „პოლიტიკა“-ს ცნობებით, ცანკოვის მთავრობამ ნიშში გაგზავნა პოლიციის სპეციალური კომისარი, რომელსაც დავალებული აქვს კოლაროვისა და დმიტროვის მოკვლა. კოლაროვმა და დმიტროვმა მოწოდებით მიმართეს ბალკანეთის სახელმწიფოების მშრომელებს, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ სამხრეთ-სლავიაში შეხიზნულ რევოლიუციონერებს ელით გაცემის საშიშროება. მოწოდება მოითხოვს ხელი შეუშალონ გაცემას და დახმარება გაუწიონ ბულგარეთის ლტოლვილებს.

საფრანგეთთან საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური დამოკიდებულების აღდგენისათვის

პარიზი. 10 ოქტ. ჩრდილოეთ დეპარტამენტის გენერალურმა საბჭომ აზრი გამოსთქვა განახლებულ იქნეს ს. ს. რ. კ ეკონომიური დამოკიდებულებანი იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მთავრობის მიერ დაწესებული იქნება აუცილებელი გარანტიები

დე-მონზის წინადადება.

პარიზი. 11 ოქტ. სენატორი დე-მონზი გამოქვეყნებულ საგაზეთო წერილში წინადადებას იძლევა გაგზავნის საჩქაროთ რუსეთში სავაჭრო დელეგაცია. „საფრანგეთი—სწერს დე-მონზი—უნდა შეიჭრას რუსეთში, რომ რუსეთი შეიჭრას ევროპაში“.

ფინეთი და ს. ს. რ. კავშირი

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის მოკვლის შესახებ

ჰელსინგფორსი. 11 ოქტ ფინეთის მთავრობის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ ლავროვის მოკვლა მოხდა რუსეთის ტერიტორიაზე და რუსეთის მოქალაქეების მიერ. ამიტომ გამოძიებაც რუსეთის საქმეა. იმ შემთხვევაში, თუ მკვლელობა ჩადენილია ფინეთის საზღვრებიდან გადასულ მოქალაქეების მიერ, მაშინ გამოძიებას მოახდენს ფინეთის ხელისუფლება.

თუ მკვლელები, არიან მეორე სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრებენ ფინეთში, მაშინ უკანასკნელი შეასრულებს ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლის მიხედვით. მკვლელობის კვლევა-ძიებას ფინეთი ავალებს საზღვრების კომიტეტს.

ფინეთი კრედიტს აძლევს ს. ს. რ. კავშირს

ჰელსინგფორსი. 11 ოქტ. ფინეთის ფაბრიკების გაერთიანება აძლევს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს კრედიტს საბანკო გარანტიების გარეშე 3,000 ტონა ქაღალდზე. ავსტრიულ მატყლისათვის, რომელსაც ვყიდულობთ ჩვენ უცხოეთში, ფინეთის ფირმები იძლევიან 5 მილ. ოქროს მანეთს რამოდენიმე თვის ვადით.

სხვადასხვა

ინგლისი

უმუშევრობის ზრდა

ბერლინი. 10 ოქტომბერი. ვაჭრობისათვის არახელსაყრელ პირობების გამო, ერთმა მსხვილმა ქაღალდის საქსოვმა ფირმამ შესწყვიტა წარმოება, რითაც უმუშევართა რიცხვს მიემატა კიდევ 10.000 კაცი.

კოლონიების დამოკიდებულება ბრიტანეთისადმი.

ლონდონი. 10 ოქტომბერი. ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ბრიტანეთის ყველა კოლონიები ეთანხმებიან ბრიტანეთის მთავრობის შინაურ პოლიტიკას. საკითხი საგარეო პოლიტიკის შესახებ განხილული იქნება კონფერენციაზე ხუთშაბათს, როდესაც ლორდ კერზონი წარმოსთქვამს ახალ სიტყვას და გამოვა ლორდ რობერტ სესილი. საეჭვოა, რომ რომელიმე ამ სიტყვათაგანი გამოქვეყნებული იქნეს. ლორდ კერზონის პირველი სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა მან ორშაბათს, საფუძველი იქნება დიდი ბრიტანეთის მომავალ პოლიტიკისათვის.

ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენციის ეკონომიურ სექციის სხდომა შესდგა 9 ოქტომბერს.

საიმპერიო კონფერენცია.

ლონდონი. 10 ოქტ. კამათი კერზონის სიტყვის გამო იმპერიის კონფერენციაზე 5 საათი გაგრძელდა. ამბობენ, რომ ზოგიერთმა კოლონიის პრემიერმა აღძრეს საკითხი რუსეთის შესახებ და აღნიშნავს ს. ს. რ. კ-სა და დიდი ბრიტანეთის შორის სავაჭრო ურთიერთობის საჭიროება.

კომუნალური არჩევნები.

ლონდონი. 10 ოქტ. მომავალ კომუნალურ არჩევნებისათვის ინგლისში მუშათა პარტია, გარდა თავის წინანდელ 174 კანდიდატისა, ასახელებს კიდევ 150 ახალ კანდიდატს.

კიდევ 10.000 უმუშევარი.

ბერლინი. 11 ოქტომბერი. მანჩესტერში შესწყვიტა წარმოება ერთმა უდიდესმა ბამბის სართავმა ფირმამ. დარჩა სამუშაოს გარეშე 10.000 მუშა. ფირმის დახურვა გამოწვეულია ბამბის სართავი ნაწარმოების ვაჭრობის ცუდი მდგომარეობით.

კერზონის სიტყვა.

ლონდონი. 11 ოქტომბერი. დღეს, ხუთშაბათს, ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია კვლავ განიხილავს საკითხს დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. კერზონი წარმოსთქვამს ახალ სიტყვას, რომელიც ალბათ, კიდევ არ იქნება გამოქვეყნებული. ფიქრობენ, რომ კამათი კერზონის პირველი სიტყვის გამო საფუძვლათ დაედება მომავალ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც როგორც ჩანს, მხარს დაუჭერს ბრიტანეთის სამფლობელო.

კონფერენციის გადაწყვეტილება საიდუმლოთ ინახება

რომი. 11 ოქტომ. ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენციამ ერთხმად მოიწონა რეზოლიუცია საგარეო პოლიტიკის შესახებ. რეზოლიუცია საიდუმლოთ ინახება.

მოხსენება ერთა ლიგის მუშაობის შესახებ.

ლონდონი. 11 ოქტომ. ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენციის დღევანდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ინგლისის წარმომადგენლის ერთა ლიგაში რობერტ სესილის მოხსენება ლიგის მუშაობის შესახებ.

ინგლისის მომავალი.

ბერლინი. 11 ოქტომბერი. ავსტრალიის პრემიერმა ბრიუსმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის იმპერიის მომავალი დამოკიდებულია მის ეკონომიურ მდგომარეობის აღდგენაზე შეეხო რა ევროპის მდგომარეობას, ბრიუსმა განაცხადა, რომ ევროპის საკითხი არ გადაიჭრება მხოლოთ გაცვეთილ ფრაზების წარმოთქმით და რეზოლიუციების მიღებით. საჭიროა უფრო რეალური ზომები. თუ არ გამოიძებნა ეს ზომები, ევროპის და მით უფრო ინგლისის მომავალი ძლიერ ცუდ პერსპექტივებს იძლევა.

ამერიკა.

„ბარიკადებზე შეგხვდებით“

ნიუ-იორკი. 10 ოქტომბერი. ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობამ ფედერაციიდან გამორიცხა თავისი წევრი დინი კომუნისტებისადმი თანაგრძნობისათვის, წასვლის წინ დინმა სთქვა: „ნახვამდის, შეგხვდებით ბარიკადებზე“-ო.

ყრილობამ უარჰყო რეზოლიუცია ამერიკის მუშათა პარტიის დაარსების შესახებ.

იაპონია.

მიწ ძვრის შედეგები.

ვლადივოსტოკი. 9 ოქტომბერი. 1.700.000 კაციდან, რომელნიც დაზარალდნენ მიწისძვრისაგან ტოკიოში, დარჩა 500.000. ტოკიოში დაიწვა 200.000 საცხოვრებელი სახლი, 640 საყდარი, 720 სახაზინო და საზოგადოებრივი შენობები. 93 საავადმყოფო, 6.346 ფაბრიკა-ქარხანა.

რუმინეთი.

აგრარულ პარტიის ლოზუნგები.

ვენა. 10 ოქტომბერი. აგრარული პარტია გამოდის შემდეგი ლოზუნგებით: 1) მემამულეთა და საეკლესიო მიწების დანაწილება უმიწაწყლოთა შორის, 2) საეკლესიო ტყეების გამოყენება გლეხთა მეურნეობის აღსადგენათ, 3) მიწის გადასახადის შემცირება და 4) პურის გატანის აკრძალვა იმ მიზნით, რომ დაწეულ იქნეს ფასები პურზე შინაურ ბაზარზე.

რუმინიის ფაშისტების გმირობა.

ვენა. 10 ოქტომბერი. რუმინეთის ფაშისტებმა რადაუცში გარეკეს აგრარულ პარტიის კრება; კრების მრავალ მონაწილეთ სცემეს.

ცვლილება რუმინეთის კაბინეტში.

ვენა. 10 ოქტ. რუმინეთის კაბინეტმა დაადგინა ფორმალურათ გადადგეს ნაწილობრივათ განახლებული კაბინეტი, როგორც ჰგავს, შედგენილი იქნება ფაშიზმის მოწინააღმდეგე-ლიბერალურ პარტიის წარმომადგენლებისაგან. შინაური პოლიტიკა დარჩება უცვლელათ. საგარეო პოლიტიკაში მთავრობა იტალიის ორიენტაციის იქნება.

ეგვიპტე.

ერეკებიან რუს თეთრგვარდიელებს.

ლონდონი. 9 ოქტომბერი. ეგვიპტის მთავრობამ უარი სთქვა ეგვიპტეში რუსეთის ყოფ. დიპლომატიური წარმომადგენლის—სმირნოვის ცნობაზე; უკანასკნელი წარმომადგენლათ ითვლებოდა ჯერ კიდევ 1905 წლიდან, მთავრობამ შეუწყვიტა მას ჯამაგირის მიცემაც, რითაც ის სარგებლობდა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. ამავე დროს გამოცხადებულია, რომ რუსეთის მოქალაქეებს ეგვიპტეში არ აქვთ ექსტერიტორიალობის უფლება.

კოალიციონური მთავრობის ღირებულება

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 11 ოქტ. „პრავდა“-ს მოწინავე ამ სათაურით აღნიშნავს.

„გერმანიის ამბები ვითარდებიან არაჩვეულებრივი სისწრაფით. ახალი დიდი კოალიცია არის შირმა, რომელიც ფარავს ლეგალიზაცია ქმნილ სამხედრო დიქტატურას. რეჟიმის მერყეობა ჰპოულობს გამოხატულებას მარკის წარმოუდგენლათ დაცემაში (დოლარი უდრის უკვე 1,700,000,000 მარ.) კოალიციონური მთავრობის ღირებულება განისაზღვრება გერმანიის მარკის ღირებულებით.

სტინესის მრეწველობა ეძებს გამოსავალს საფრანგეთის გენერლებთან კავშირში. ეს სწკარა სახელმწიფო ღალატი იწვევს საყოველთაო აღშფოთებას. კლასთა ანტაგონიზმის გამწვავება, უკიდურეს ფლანგების გამოყოფა და „მესამე ძალის“ გაკოტრება—აი მოახლოვებული ქარიშხალის სიმპტომები. ასეთივეა ოფიციალური სოციალ-დემოკრატიის სრული გაკოტრების მნიშვნელობა.

მემარცხენე სოციალ დემოკრატები მასების ზეგავლენით ალაპარაკდენ პრესაში რევოლიუციონური ენით. მუშათა ძალების მობილიზაცია სწარმოებს ისეთივე სისწრაფით, როგორც ფაშიზმის ძალების მობილიზაცია. ყველა გაზეთები აღნიშნავენ მთავრობის უძლურებას. ნგრევას ბოლო არ მოეღება მანამდე, სანამ პროლეტარიატი ძლევამოსილი ხელით არ შეაჩერებს მის შეუჩერებელ სრბოლას“.

„თეთრგვარდიელების ახალი განზრახვები“

„იზვესტია“-ს წერილი

მოსკოვი „იზვესტია“-ს მეთაურ წერილში „თეთრგვარდიელების ახალი განზრახვები“ ამხ. ვილენსკი სწერს:

„საზღვარგარეთელი თეთრგვარდიელები ამ უკანასკნელ დროის განმავლობაში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ. თეთრგვარდიელების მღელვარების მიზეზია ის ამბები, რომელიც ეხლა ევროპაში ვითარდება. სამოქალაქო ომი ბულგარეთში და გერმანიის ამბები აიძულებენ რუსეთის თეთრგვარდიელებს ექონ ახალი უშიშარი თავშესაფარი. თეთრგვარდიელების ხელმძღვანელები საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის ახალ გეგმებს იმუშავებენ.

ამიტომ ხელახლა ხმარებაშია ცილისწამება და სიცრუე იმ მიზნით, რომ დასცენ საბჭოთა რუსეთის პრესტიჟი და მიუთითონ უცხო სახელმწიფოების მთავრობებს მის სისუსტეზე.

ნოყიერი მასალა ცილისმწამებლებს მისცა კრასნოშჩეკოვის დატუსაღებამ. ყველაფერი ეს—თავდასხმაა უვარგის საშუალებებით. კრასნოშჩეკოვის მაგალითით ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მართლაც ვებრძვით „ნეპის“ მახინჯ მხარეებს.

საბჭოთა რუსეთის მშრომელებს ვერ შეაშინებს თეთრგვარდიელების ახალი განზრახვები; საბჭოთა ხელისუფლება საკმაოთ ძლიერია იმისთვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ყველა იმათ, ვინც შეეცდება მასზე თავდასხმას“.

ამიერ კავკასიის ფურცლებში

საქართველო

გორი

გორი. 10 ოქტ. გერმანიის მუშების დამხმარე ცენტრალურ კომისიის მოწოდებამ მხურვალე გამოძახილი გამოიწვია გორის მაზრაში. ყველგან ეწყობა კომისიები. შემოწირულების შეგროვება განზრახულია აყვანილ იქნეს მაქსიმუმამდი.

აფხაზეთი

აფხაზური შრიფტი.

სოხუმი. 10 ოქტ. აფხაზეთის ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა განათლების სახალხო კომისარიატს შეიმუშავოს ხარჯთაღრიცხვა და მასალები აფხაზეთის შრიფტის ლათინურზე გადაყვანის საკითხისათვის. ახალი შრიფტი დამტკიცებულ იქნება აფხაზეთის ცაკის მიერ.

სესხი მეთამბაქოებს

სოხუმი. 10 ოქტ. აფხაზეთის თამბაქოს სამმართველომ მეთამბაქოების კავშირს მისცა სესხი 32.000 ჩერვონცების რაოდენობის, პლანტატორებისათვის დასარიგებლად, სესხი მიცემულია თამბაქოს მოსავალის მოგროვების მიზნით. აფხაზეთის თამბაქოს სამმართველო აძლევს სესხს აგრეთვე დამოუკიდებელ მეთამბაქოებს 15 ჩერვ. რაოდენობით ნათესის თვითეულ დესეტინაზე.

გლეხების დაახლოვება წითელარმიელებთან

სოხუმი. 10 ოქტ. მთელ რიგ მაზრებიდან იტყობინებიან, რომ უკანასკნელ დროის განმავლობაში გაძლიერდა გლეხების დაახლოვება წითელარმიელებთან, რომელიც გამოიხატება წარმოდგენებისა და საღამოების დადგმაში და შეერთებულ კრებების მოწყობაში.

ხანძარი გალში.

სოხუმი. 10 ოქტ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად, ხანძარმა გაანადგურა ქალ. გალის ნაწილი (სამურზაყანოს ცენტრი).

აზერბეიჯანი

კოოპერაცია.

ნუხა. 10 ოქტ. ნუხის მთლიანმა სამომხმარებლო საზოგადოებამ დაადგინა გახსნას ჰოშლაგში მუშებისათვის სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი, და აგრეთვე საკრედიტო განყოფილება. სამაზრო კომიტეტთან მოეწყო კოოპერატიული სექცია.

ბაქო. 10 ოქტ. აზერბეიჯანის მაღაროს მუშების კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ბაქოს კავშირის წინაშე, რათა გახსნილ იქნეს რომანში და ზაბრატში ბაქოს კავშირის განყოფილებები, რადგან ეს რაიონები მოშორებული არიან კოოპერატიულ დუქნებს და დასახლებული არიან უმთავრესად მუშებით.

აღდამი. 10 ოქტ აღდამის მაზრაში მომქმედმა სამმა კოოპერატივმა შესძლეს მოსახლეობას მიმხრობა. ვაჭრები კოოპერაციას მტრულად ეპყრობიან, კერძო ვაჭრობა ეცემა. იყო შემთხვევები, როდესაც რამოდენიმე კერძო სავაჭრო გაერთიანდენ ერთ წარმოებაში ეხლა კოოპერატივები აწარმოებენ საჭირო პროდუქტების დამზადებას.

სომხეთი

სამასწავლებლო ინსტიტუტი.

ერევანი 10 ოქტომბერი. 10 ოქტომბერს განათლების სახალხო კომისარიატთან სამასწავლებლო ინსტიტუტი გაიხსნა.

შრომის სკოლებში მოწაფეთა მიღების შესახებ

1923 წლის 10 სექტემბერს ტფილისის და ტფილისის მაზრის აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებისაგან ქალ. ტფილისის შრ. სკოლების გამგეებს გაეგზავნათ შემდეგი განკარგულება:

„სახალხო განათლების განყოფილება წინადადებას გაძლევთ ბავშვების მიღების დროს ყველა ჯგუფებში (გარდა სკოლასთან არსებულ საბავშვო ბაღისა, იხელმძღვანელოთ შემდეგი დებულებით:

1. პირველად მიღებულ უნდა იქმნან მუშათა, წითელარმიელთა და ქალაქის სკოლების მუშაკთა შვილები.
2. იმ პროფკავშირთა წევრების შვილები, რომელნიც არ მოყვნენ პირველ მუხლში.
3. ყველა დანარჩენ მოქალაქეთა შვილები.

სკოლასთან არსებულ საბავშვო ბაღებში მიიღებიან გადაგზავნილ სიით სახალხო განათლების განყოფილების მახლობელ საბავშვო ბაღებიდან.

დანარჩენ თავისუფალ ადგილებზე ამ ბაღებში მიიღებიან ზემოხსენებულ დებულებით.

წლოვანების ნორმა წესდება შემდეგი:

სკოლასთან არსებულ საბავშვო ბაღებში მიიღებიან 6–8 წლამდე, მეორე ჯგუფში—8—10 წლამდე. მესამე ჯგუფში—9—11 წლამდე. ბავშვები ამ ხნისაზე მეტი მიიღებიან პედაგოგიურ საბჭოს შეხედულებით გამონაკლის შემთხვევაში“.

სახალხო განათლების განყოფილების განკარგულებით ბავშვების ამ წესით მიღების საქმე დაეკისრა მუშათა, გლეხთა წითელარმიელთა საბჭოს და პროფკავშირის წარმომადგენლებს პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად.

განყოფილების ეს განკარგულება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ მიუხედავათ დიდი თვალყურის დევნებისა სკოლის გამგეთადმი, უკანასკნელნი ყოველთვის ისეთი სისასტიკით ვერ ასრულებენ სახალხო განათლების განყოფილების სურვილს და ბრძანებას, რომ სასწავლებელში უპირველესად ყოვლისა მიღებულ უნდა იქმნან მუშების, წითელარმიელების, პროფკავშირთა წევრების და განათლების მუშაკთა შვილები ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა განყოფილება, როდესაც მან ბავშვების მიღების საქმე დააკისრა მუშათა და წითელარმიელთა საბჭოს და პროფკავშირთა წარმომადგენლებს სკოლის გამგეებთან და საერთოდ პედაგოგიურ საბჭოებთან ერთად.

უტყუარი ცნობები არის იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული ორგანოთა წარმომადგენლები აქტიურად ჩაებენ ბავშვთა მიღების საქმეში. საეჭვო არ არის, რომ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს და პროფკავშირთა წარმომადგენლების და სკოლის გამგეთა და პედაგოგიურ საბჭოთა მჭიდრო კავშირის საშუალებით მიღწეულ იქნა ბავშვების მიღების სამართლიანი მოწესრიგება.

დღეს ასე თუ ისე დამთავრებულ არის შემომსვლელთა რეგისტრაცია. გამოირკვა, რომ ქალაქში არსებულ შრომის სკოლები ვერ იტევენ დი ნაწილს მისაღებ ყმაწვილების მდგომარეობა დამაფიქრებელი შე ნა. ამისათვის სახალხო განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა: ა) გაიხსნას შრომის სკოლებთან პარალელური ჯგუფები, ბ) გამონახულ იქნას ახალი შენობები სასწავლებლისათვის, გ) გამოყენებულ იქმნას სკოლის გაუქმებული ეკლესიები ახალ ჯგუფებისათვის და დ) გაიხსნას სა თანადო უმაღლესი ორგანოთა დასტურით ახალი შტატები.

საერთოდ განათლების განყოფილება, გრძნობს რა დიდ პასუხისმგებლობას მოზარდ ახალთაობის წინაშე, იღებს ენერგიულ ზომებს, რომ სკოლის გარეშე დარჩენილთა რიცხვი თუ სრულიად ვერ მისპოს, მინიმუმამდე მაინც დაიყვანოს.

ამიტომ მოქალაქეთა წუწუნი შიში, რომ მათი შვილები სკოლის გარეშე დარჩებიან, მაინც და მაინც გასაზვიადებელი არ არის; მართალია სკოლის გარეშე დარჩენილთა სასწავლებელში მოთავსება გამოიწვევს ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ორპირი მეცადინეობას (დილაობით და საღამოობით), რაც პედაგოგიურად მაინც და მაინც მიზანშეწონილი არ არის და მეორე მხრივ გარემოება გამოიწვევს შტატების გრძნობ გადიდებას, მაგრამ იძულებული და მოვალე ვართ ყოველი ეს დაბრკოლება გადავლახოთ, რომ მოქალაქეთა დიდი მოთხოვნილება სწავლა-აღზრდისა შეძლებისდაგვარად მინიმალურად მაინც დაკმაყოფილდეს.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ მოსწავლე ახალი თაობა წლიდან წლამდე ასობით და ათასობით იზრდება მაშინ, როდესაც სასკოლო შენობების ხელახალი აშენება თანამედროვე პირობებში არ ხერხდება. ამისათვის არის, რომ დიდი და ძლიერ დიდი მუშაობა სჭირდება სათანადო ორგანოებს, რომ სკოლების გარეშე არ დარჩეს სწავლის მსურველი ახალგაზრდები.

ზოგიერთ საბჭოთა რესპუბლიკაში ამისათვის იძულებული არიან, რომ მეცადინეობა სკოლებში არა თუ ორპირი, არამედ სამ—პირიც აწარმო

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ვადგენთ რა ამასთანავე ხუთ ჩერვონეცს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ შემოწირულს კოოპერატიული საზოგ. „კახეთი“-ს გამგეობ მიერ, ამასთანავე გახლებთ შემომწირველთა სიას: სამს. ცინცაბაძე 1 ჩერ ირ. ფორაქაშვილი 1 ჩერ., ვიქ. დავითაშვილი 1 ჩერ., გრ. გოლოშვილი ჩერ, გ. მირიანაშვილი 1 ჩერვ. მასთან ერთად ვიწვევთ: „წარმოკავშირი“-, „კავშირთ-კავშირი“-ს, „წინანდლი“-ს და „საერო“-ს გამგეობათა წევრებ და დარწმუნებული ვართ არ დააჯერებენ თითო ჩერვონეცს, არამედ შეძ დულებისამებრ შემოსწირავენ ბევრად მეტს.

კოოპერ. საზოგ. „კახეთი“-ს გამგეობა.

„კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამასთან ერთად გეგზავნებათ სამი ჩერვონეცი და 250 000.000 მილ. მან ბიურო-კომუჯრედის ინიციატივით შეგროვებული ქართულ კომანდირთა სკოლაში, გერმანიის პროლეტარიატისათვის დასახმარებლათ და ჩვენის მხრივ ვიწვევთ 21, აზერბეიჯანის და სომხურ სკოლებს გარდა აღნიშნულ 250.000.000 მილ. უფროსმა შემადგენლობამ და კურსანტებმა გადადვეს დახმარებისა ვის ხუთი დღის ულუფა, რაც შეადგენს 3523 კაცის ერთი დღის ულუფ აგრეთვე ამორჩეულია სპეციალური კომისია, შეწირულების მოსაგრო ლად.

ქართ. კომანდირთა სამხედრო სკოლის კომუჯრედი.

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას

ვარდგენ ორმოცდა ათ მილიონ მან. (50,000,000 მან.) გერმანიის რე ვოლიუციის დახმარების ფონდში და მოვუწოდებ დახმარებისაკენ შემდ ამხანაგებს: 1) ანდრო დოლიძეს, 2) კოწია გურგენიძეს, 3) ვალოდია თავ თქილაძეს, 4) ივლიანე სურგულაძეს, 5) მიხაკო მკურნალს, 6) თედო დოლიძეს, 7) ვარლამ ეგრომაიშვილს, 8) ქრისტეფორე ვასაძეს, 9) სარდი ჯიბუტს, 10) ალვასი თალაკვაძეს, 11) გოცო მახარაძეს.

შალვა გოგეშვილი.

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას.

შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ორმოცდა ა მილიონი 50,000,000 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) გრიგოლ მგ ლობლიშვილს, 2) ნეოფიტე ქეიშვილ, 3) დათიკო ნიკოლაიშვილს, 5) დ მიტრი სიმვულიდი, 6) მარო ლომინაძეს, 7) გრიგოლ ჩიჩუას, 8) გრი ელენტ, 9) კოლია ბარამიძეს, 10) ნიკოლოზ დოლიძეს, 11) გიორგი სუ გულაძეს, 12) თეოფილე ჩიჩუას.

პიმენ თალაკვაძე.

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამხ. ბარონის გამოწვევის საპასუხოთ, შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ და ჩემის მხრივ ვიწვევ: ამხ ამ კლიმენტი ცომაიას (დამზღვევი სალარო), ჯავაირა ხუტულაშვილს, ე. გუ გიბერიძეს (საქ.-სასან. მუშაკთა პროფკავშირი), სანდრო კობალაძეს, ქუთათელაძეს (წითელი ჯვარი), მ. საბაშვილს და მ. მამარდაშვილს თავ დ. მუჯანაძით. წინადადებას ვაძლევ შეიტანონ მეტი და არა ნაკლები.

ი. მამულია.

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას.

გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციაში შემომაქვს 8 მილიონი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) ამერიკო კაკელიას, 2) ვალოდია გოგეიშვილს, 3) პ. ხობუას, 4) დ. გვაზავას, 5) კოლია ცინცაძეს (საქართველოს ცეკას კომკავშირიდან) 1) სერგო ბახტაძეს, 2) ირაკლი კუპრაშვილს და გალ. ნუცუბიძეს (საქ. წითელი არმია), 1) ამხ. ვოსკანიანის, 2) ოგანეზ არუტინოვს, 3) სერგო ჯავახაძეს, 4) ლადო ჯაფარიძეს, 5) ქავჟავაძეს, 6) ფალკოვსკის, 7) კარაგულიანს, 8) საშა ნემსაძეს, 9) გიორგი წულაძეს და 10) ჩიტიშვილის ქალს.

კომუნისტის მუშკორი ე მ. ქელაძე.

შემოვიდა 12 ოქტომბერს

1. ზახარიონ ნადირაძისაგან—1 ჩერვონეცი, 2. ილ. მამულიასაგან—1 ჩერვონეცი, 3. [illegible] 1 ჩერვონეცი, 4. [illegible] გან—1 ჩერვონეცი, 5. ვიქ. დავითაშვილისაგან—1 ჩერვონეცი, 6. გ. მირიანაშვილისაგან 1 ჩერვონეცი, 7 გრ. გოლოშვილისაგან—1 ჩერვონეცი, სამხედრო სკოლისაგან—3 ჩერვონეცი და 250,000,000 მ., 9. მ. ჯიქიასაგან—5,000,000 მ., 10 კარაულოვისაგან—5,000,000 მ., 11. მ. ბუაჩიძისაგან—5,000,000 მ., 12 მაზაგარიანისაგან—5,000,000 მ., 13. დევაძისაგან—5,000,000 მ., 14. გრ. ნადირაძისაგან 5,000,000 მ., 15 პიმენ თალაკვაძისაგან 50,000,000 მ., 16. ნ. იტრიევისაგან—5,000,000 მ., 17. მიქელაძისაგან—8,000,000 მ., 18 ამხ. ლაფანაშვილისაგან—5,000,000 მ., შალვა გოგეშვილისაგან—50,000,000 მ., 20. კარ. ორაგველიძისაგან—5,000,000 მ., 21. ქაცარავასაგან—5,000,000 მ., 22. იოკ შენგელიასაგან—5,000,000 მ. სულ—ათი ჩერვონეცი და 708 მილ. მან.

წინეთ შემოსულით (205 ჩერვონეცი, ნახ. გირ. სტ., ორი ოსმ. ლირა და 782,481,000) 215 ჩერვონეცი, ნახ. გირ. სტერლ. 2 ოსმალ. ლირა და 1,190,482,000 მან.

მეტად მძიმე ტვირთად აწევია, როგორც მოწაფეთ, ამავე დროს მასწავლებელ ხელმძღვანელებს. მაგრამ ეს მსხვერპლი ჩვენ უნდა გავიღოთ და რაც მთავარია—არსებული შტატები იმ ზღვა მოწაფეებისთვის, რომლებიც სკოლებს მოაწყდა, საკმაო არ არის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ განათლების განყოფილება ენერგიულად იბრძვის ახალი შტატების გახსნისათვის, რაც გადაუდებელ საქმედ უნდა იქმნას აღიარებული შესაფერ ორგანოთა მიერ.

ვ. კ

საჭიროა სპეციალური საბინაო სასამართლო? *)

როგორც გაზეთ „კომუნისტი“-ს № 282 დან სჩანს, ქ. ტფილისის აღმასკომს შუამდგომლობა აღუძრავს იუსტიციის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა დაარსებულ იქნას სპეციალური საბინაო სასამართლოები. გარეგნულის შეხედვით თითქოს ეს სასამართლოები აუცილებლობას წარმოადგენს იმ კონფლიქტების მოსაგვარებლათ, რომლებსაც ადგილი აქვს სახლის პატრონებსა და მობინადრეებს შორის, მაგრამ ვინც დაახლოვებულია ამ კონფლიქტებთან თვით სასამართლოებთან, ისინი დამეთანხმებიან, რომ არავითარ საჭიროებას და ღირებულებას ასეთი ახლათ გამოგონებული დაწესებულებანი არ წარმოადგენენ.

სახლის მეპატრონენი შესჩივიან აღმასკომს, რომ მათი საქმეები უყურადღებოთ არის მიგდებული სასამართლოებში და ეს გარემოება მათ საშუალებას არ აძლევს, რომ ქირა აიღონ და სახლები თავის დროზედ შეაკეთონ.

აღმასკომს არ შეეძლო, რომ ამ პეტიციისათვის ყურადღება არ მიექცია და ფიქრობს, რომ სპეციალური სასამართლოების დაარსებით სახლების შეკეთება ჩქარის ტემპით წავა წინ. მაგრამ საუბედუროთ სპეციალური სასამართლოებზედ და საქმეების თავის დროზედ გარჩევაზედაც არ არის დამყარებული სახლების ბედ-იღბალი. ეს რომ ასე იყოს, იმ შემთხვევაში არამც თუ ორი სასამართლო უნდა დაარსებიათ ტფილისის ტერიტორიაზედ, არამედ ყველა უბნის მოსამართლეებს უნდა მიცემოდა წინადადება, რომ მათ საბინაო კითხვები პირველ რიგში გაერჩიათ და ამით ხელი შეეწყოთ ამ დიადი საქმის სისრულეში მოყვანისათვის, მაგრამ სასამართლოები სახლის მეპატრონეებს აქვთ მხოლოთ მიზეზათ იმ მოვალეობის თავიდან ასაცილებლათ, რომელიც მათ აწევთ კისერზედ.

სახლის პატრონებს აინტერესებთ ერთის მხრივ—თავიანთი ჯიბეების გასქელება და მეორეს მხრივ—ჯავრის ამოყრა იმ მუშა-მოსამსახურეებზედ, რომელსაც დეკრეტი ანიჭებს შეღავათს ბინის ქირის გადახდაზედ ვერც ერთ სახლის პატრონს ვერ ნახავთ, რომ საჩივარი არ შეჰქონდეთ სასამართლოში იმ დროს, როდესაც ისინი ღრმათ არიან დარწმუნებული, რომ არ ერგებათ მეტი, რასაც თვითონ [illegible] ისინი ქირას და იძულებთ ბინის დაცლას? 60 პროცენტი საჩივრებისა მიმართულია მუშა-მოსამსახურეების წინააღმდეგ, 30 პროცენტი ქალაქის უღარიბესი ნაწილის და დანარჩენი 10 პროცენტი კი შეძლებულების, რომელნიც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შეთანხმებულან ბინის ქირაზედ. ეს პროპორცია აშკარათ გვიჩვენებს, თუ რამდენათ წაიწევს წინ სახლების შეკეთება მაშინ, როდესაც ატეხილ კონფლიქტებს საჩქაროთ გაარჩევს სასამართლო.

აქ გაცილებით უმეტეს შემთხვევაში ფულების უსინდისოთ გამოყენებაშია საქმე და არა იმაში, რომ თითქოს სახლის პატრონები იღწვიან სახლების შეკეთებისათვის. მათ უნდათ ამ საჩივრებით თავი იმართლონ მთავრობის წინაშე, როცა სთხოვენ სისუფთავის დაცვას და სახლების შეკეთებას. ისინი მაშინათვე მიუთითებენ მობინადრეების უზნეობაზედ და სასამართლოების უმოქმედობაზედ.

აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სახლის პატრონი საშინელ მდგომარეობაში აყენებს როგორც მობინადრეს, ისე თვით სახლის მდგომარეობასაც. მუშა-მოსამსახურისაგან არ იღებენ ხვედრ ფულს და ხშირათ ცხვირპირში ახლიან უკან, როდესაც მობინადრე მიაწოდებს მათ ქირას. მობინადრე იძულებულია ფული შეიტანოს ხაზინაში დეპოზიტათ. აქ მას ფულის შეტანის დროს სჭირდება მთელი დღე რიგში დგომა და ამას გარდა თვით ფულიც ჰკარგავს დროთა მსვლელობაში ღირებულებას და სახლს აღარაფრათ არგია. ვინ არის ამაში დამნაშავე? რა თქმა უნდა, ის თავხედი სახლის პატრონი, რომელიც მთავრობის დადგენილებას არ ემორჩილება და თვისი კაპრიზი უნდა შეასრულოს. ამისათვის, მე მგონია, რომ არა სასამართლოების რიცხვის გადიდება, არამედ გასაჩივრების პირობების განსაზღვრა და სახლის პატრონებზედ თვალყურის დევნება მეტ სარგებლიანობას მოიტანს. მეორეს მხრივ საჭიროა ყველა დაწესებულებებმა სიფრთხილე იქონიონ იმ საბუთების გაცემის დროს, რომლებიც ანიჭებს შეღავათს ამა თუ იმ პირს ბინის ქირის გადახდაში. სახლის მეპატრონეებს არ აქვთ უფლება, რომ პიროვნების წინააღმდეგ აღძრან უკანონოთ საჩივარი.

ასეთ მაგალითებს კი რამდენიც გნებავთ დავასახელებთ თუ საჭიროება მოითხოვს და ამისთვის არამც თუ შევეცდებით მათი საქმეების საჩქაროთ განხილვას, არამედ ვაჯარიმებთ უსინდისოთ ძიების აღძვრისათვის.

ჩვენ დაბეჯითებით ვამბობთ, რომ სახლის პატრონები სრულიად არ არიან დაინტერესებული ბინების შეკეთებაში. არამედ მათ სურთ დროით ისარგებლონ და ჯიბეები დაისქელონ. არც ერთ სახლს არ ღირსებია შეკეთება მიუხედავათ იმისა, რომ სახლის პატრონი ქირას იღებს.

ამიტომ, საჭიროა, რომ ყურადღება მიექცეს სახლის პატრონების მოქმედებას და ანგარიში გაეწიოს იმ გარემოებას, რამდენათ ესა თუ ის სახლის პატრონი მიზანშეწონილათ ახმარს სახლს შემოსულ თანხებს. სპეციალური სასამართლოების დაარსება კი ჩვენის აზრით ვერავითარ ცვლილებას ვერ შეიტანს სახლების მდგომარეობის გაუმჯობესებაში, გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს დააწვება ახალი ხარჯები.

გ. ხუ—ძე

---

*) ჩვენ ვათავსებთ ამ წერილს საკითხის (სპეციალური საბინაო სასამართლოების შესახებ) ყოველმხრივ გასაშუქებლათ.

რედ.

ამხ. ბორის ძნელაძის დაკრძალვა

11 ოქტომბერს ტფილისის პროლეტარიატმა, წითელმა ჯარმა და ახალ. კომ. კავშირმა ძმური გულისტკივილით მიწას მიაბარა მებრძოლ გმირების რიგებს უდროოდ გამოსხლეტილი იშვიათი ახალგაზდა რევოლიუციონერი ბორის ძნელაძე.

ნაშუადღევის 3 საათზე თავისუფლების მოედანზე თავი მოიყარეს წითელი ლაშქრის ნაწილებმა, მესამე და მეოთხე რაიონის კომკავშირმა, ხოლო იქვე თავისუფლების მოედანთან განოვის ქუჩაზე განსვენებულის ბინის წინ მოგროვდენ პარტიული ამხანაგები და მუშები დაღვრემილი სახეებით.

4 საათზე გულმოკლული ჭირისუფლების თანხლებით, სამგლოვიარო ჰიმნის ტირილ ქვეშ ოთახიდან გამოასვენეს უდროოთ დაკარგულ მებრძოლის ცხედარი. კუბოს წინ უძღვის მრავალი ყვავილებით გვირგვინი პარტიულ, სახელმწიფო, სამხედრო და საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან მიძღვნილი.

დადუმებული, სევდამორეული მრავალრიცხოვანი პროცესია ნელის ნაბიჯით სამგლოვიარო მარშის მკვნესარე ჰანგებში მწუხარებით ღრმა მოკრძალებით მოასვენებს ახალგაზრდა გმირის გაცივებულ ცხედარს. თავისუფლების მოედნიდან მარქსის მოედნამდე გაშლილი პროცესია თავის მდუმარებით და მგლოვიარე სახეებით მიემართება პლეხანოვის გრძელ პროსპექტზე. კირკის ქუჩაზე პროცესიას უერთდებიან პირველი და მეორე რაიონის კომკავშირელნი და ყველანი ერთად მიემართებიან კირკის ქუჩით რუსთაველის პროსპექტზე. საღამოს 6 საათზე ცხედარს შეასვენებენ კომუნისტური აღზრდის ცენტ. სახლის ეზოში, სადაც უკვე გამზადებულია, ყვავილ-მცენარეებით მორთულ-მოკაზმულია გმირის სამუდამო განსასვენებელი საფლავი. ყოფილი სამხედრო საკრებულოს მოედანი ვერ იტევს მოზღვავებულ პროცესიას და მოქალაქეებს.

დაკრძალვა და სიტყვები.

პირველს გამოსათხოვარს სიტყვას კომკავშირის სახელით ამბობს ამხ. **გაიოზ დევდარიანი**, რომელიც მოკლეთ ახასიათებს იშვიათი ბორისის ხანმოკლე მოღვაწეობას და ფიცს სდებს მთელი ახალგაზრდობის სახელით ძირს არ დაუშვან ის დროშა, რომელიც მას ასე მედგრად ეჭირა.

შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. **სერგო ორჯონიკიძე**, რომელიც მოუწოდებს ბორისის თანამშრომელ ამხანაგებს აღიჭურვონ ბორისისებური მხნეობით და სულის სიმტკიცით მოახლოვებულ მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებისთვის საბრძოლველად.

ამხ. შალვა ელიავას თქმით, ამხ ბორისმა თავისი ახალგაზრდა სული რევოლიუციის ცეცხლში დასწვა და მისი თანამებრძოლი ამხანაგების მხრივ განსვენებულის საუკეთესო პატივისცემა და სამარადისო ხელთუქმნელი ძეგლი იქნება ბრძოლა რევოლიუციონური დროშის აღსამართავად კაპიტალიზმისაგან განაწამებულ ხალხთა ქვეყნებში.

ამიერკავკასიის კომუნიტ. ახალგაზრდობის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. **ამახი**, რომელიც მოუწოდებს ამხანაგებს მიზნად დაისახონ განსვენებულ ამხანაგის რევოლიუციონური საქმისათვის თავდადებული მოღვაწეობა. სამხედრო სამოსწავლო გუნდის სახელით ამხ. **ბუაჩიძე** აღთქმას იძლევა განსვენებულის წინაშე, რომ ის ნაწილი, სადაც განსვენებული უკანასკნელად მოღვაწეობდა, მებრძოლთა რიგებში იქნება ერთი პირველთაგანი, რომელიც თავს არ დაიზოგავს რევოლიუციის გასამარჯვებლად მსოფლიო მასშტაბით.

უკანასკნელად ამხ. გაიოზი აუწყებს ამხანაგებს და მოქალაქეებს, რომ ახ. კომ. კავშირის დადგენილებით აღზრდის ცენტ. სახლი ამიერიდან ატარებს ამხ. ბორისის სახელს და მის შენახვას კისრულობს ა. | ქ. სახ. კომ. საბჭო, რომელიც მისი ხსოვნის აღსანიშნავად ა. | ქ. კომუნისტურ უნივერსიტეტში დაარსებს მის სახელზე სტიპენდიას. დასასრულ სამხედრო ნაწილები იძლევიან გამოსათხოვარ სალიუტს და გმირი ბორისის ცხედარს სამუდამოთ იბარებს მშობლიური ქვეყნის მიწა.

ამხ. ბორისის დაკრძალვა იყო გლოვა და ამავე დროს მოწოდება და ძალთა დარაზმვა ახალი ბრძოლებისათვის.

კოოპერაცია

ცეკავშირში

მთლიან მომხმარებელი საზოგადოებისათვის საანგარიშო ფორმებისა და დავთრების დაწესება.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სამომხმარებლო კოოპერაციის თაობაზე ამა 1923 წლის იანვრის 24-ს თარიღით გამოცემულ დეკრეტის თანახმად ცეკავშირი აწარმოებს საქართველოს რაიონულ და ძირითად მომხმარებელ კოოპერატივთა მთლიან მომხმარებელ საზოგადოებათ გარდაქმნას. ამ ახალი რეორგანიზაციით იცვლება კოოპერატიულ ორგანოების ზოგიერთი ფუნქციები, რის გამო საჭირო შეიქნა კოოპერატივთა ძველი საანგარიშო ფორმებისა და დავთრების გადასინჯვა და შესწორება. აღნიშნული მიზნით მიმდინარე წლის სექტემბრის 27-ს ცეკავშირის მთავარ კანტორაში შესდგა განსაკუთრებული კომისიის სხდომა, რომელმაც დაავალა ამხ. ალექსანდრე კახელაძეს შეიმუშაოს და წარმოუდგინოს მოხსენებულ კომისიას მთლიან მომხმარებელ საზოგადოებათა საანგარიშო ფორმებისა და დავთრების სათანადო პროექტი.

საინფორმაციო საქმის მოწყობა.

ამა წლის ოქტომბრის 3-ს შესდგა ცეკავშირის არა-სავაჭრო ქვე-განყოფილების გამგეთა სხდომა, რომლის დადგენილებითაც ცეკავშირის სტატისტიკური ქვე-განყოფილებას კონცენტრაცია უყოს ყოველგვარ ინფორმაციას ცეკავშირის ყველა განყოფილებათა მოქმედების შესახებ და სათანადო ცნობები სისტემატიურად მიაწოდოს როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესას.

მადლობის ბარათი.

ცეკავშირის სახელზე აზერბეიჯანის სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმის კომიტეტისაგან მიღებულია ბარათი, რომელშიაც აღნიშნული კომიტეტი უღრმეს მადლობას უცხადებს საქართველოს ცეკავშირს აზერბეიჯანის ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუზეუმისათვის ქერამიკული ნაწარმოების მთელი კოლექციის საჩუქრად გადაცემის გამო.

მეხაქონლეთა კოოპერატიული ამხანაგობის დაარსება თრიალეთის რაიონში.

მიმდინარე წლის აგვისტოს დამლევს თრიალეთის რაიონის მესაქონლეებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს ცეკავშირს, რათა უკანასკნელს მიეღო თავის-თავზე ხელმძღვანელობა და მზრუნველობის გაწევა აღნიშნულ რაიონში მესაქონლეობის დარგის განვითარების საქმეში. ცეკავშირის გამგეობამ, მიიღო რა მხედველობაში მესაქონლეობის ეკონომიური მნიშვნელობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის, დაუყოვნებლივ მიიღო ზომები თრიალეთის რაიონის მცხოვრებთა თხოვნის დასაკმაყოფილებლად. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების მიერ წარვლენილ იქნა ადგილობრივ მდგომარეობის გამოსარკვევად ერთი ინსტრუქტორი, რომელმაც მიიღო წინასწარი ზომები კოოპერატიული ამხანაგობის „თრიალეთის“ დასაარსებლად. ადგილობრივი მცხოვრებლების რწმუნებულთა კრებაზე არჩეულ იქნა სამი პირისაგან შემდგარი ინიციატორთა ჯგუფი, რომელიც სულ მოკლე ხანში დაასრულებს მასზე დავალებულ მუშაობას ამხ. „თრიალეთის“ ორგანიზაციისათვის. ამ ამხანაგობაში შევა შემდეგი ხუთი სოფელი: ზემო სალამ-ალეიქი, მეითი-ალალარ, ქვემო სალამ-ალეიქი, ზემო ყარაბულაღი და ქვემო ყარაბულაღი, დაახლოვებით 177 კომლი მცხოვრებით და 1060 მეწველი ძროხით. თვითეულ სოფ. მოწყობილია რძის ნაწარმოების ქარხანა, რომელშიაც მზადდება საზაფხულო სეზონში (მაისი—სექტემბერი) 5 ათას ფუთამდე შვეიცარული ყველი. ზოგიერთ ქარხნებს ესაჭიროება შეკეთება და რემონტი. აღნიშნულ მესაქონლეობისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენის შემდეგ ყველის დამზადება გაიზრდება ერთი-ორად. ზამთრის სეზონში დამზადდება დაახლოვებით 5 ათასი ჩვენებური ყველი და კარაქი.

„თრიალეთის“ ამხანაგობა მისი ორგანიზაციის დამთავრებისთანავე მიღებული იქნება ცეკავშირის ოჯახში, რომელიც გაუწევს ახალ კოოპერატიულ ორგანიზაციას ყოველგვარ დახმარებას.

ადგილობრივი მოსახლეობის ნავთის პროდუქტით მომარაგება.

მიმდინარე წლის აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში ცეკავშირის გამგეობის მიერ ოზურგეთის, ახალ-სენაკის, ზუგდიდის, სამტრედიის, ახალ-ციხის, ახალ-ქალაქის, ბორჯომის, გორის და თელავის რაიონებს ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებს გადაეგზავნა 14,200 ფუთი ნავთი და ნავთის სხვა პროდუქტი დაახლოვებით 3,800 მანეთის ღირებულებისა.

ნავთის ეს რაოდენობა განაწილებულია აღნიშნულ რაიონების მოსახლეობის შორის ძირითადი კოოპერატივების მეშვეობით 108 პუნქტში.

საქართველოს დანარჩენ რაიონების მოსახლეობისათვის ნავთის მიწოდება ჯერ ჯერობით სწარმოებს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სათბობი განყოფილების საშუალებით, ხოლო მომავლისათვის განზრახულია საქართველოს ყველა რაიონები, გარდა აჭარისტანისა და ქალაქ ტფილისისა, გადაეცეს ცეკავშირს მოსახლეობის ნავთით მომარაგების მხრივ.

ამიერკავკასიის კოოპერაციის საისტორიო მასალათა კრებულის გამოცემა.

ამა წლის ოქტომბრის 8-ს, ცეკავშირის მთავარ კანტორაში შესდგა განსაკუთრებული თათბირი, რომელმაც იქონია მსჯელობა ამიერკავკასიის კოოპერაციის საისტორიო მასალათა კრებულის გამოცემის შესახებ. ამ საქმის საერთო ხელმძღვანელობა დაევალა ცეკავშირის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას. მასალების შეკრება დარგების მიხედვით განაწილებულია ცალკე პირებსა და ჯგუფებს შორის.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(11 ოქტომბერი)

ჩერვონცები	61,800
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	55,600
ჩეკები	52,500
დოლარები ეფექტ.	12,500
ჩეკები	11,650
ოსმ. ქალ. ლირა	6.800
იტალიური ლირა	360
ფრანგული ფრანკი	540
საბჭ. ფულის ნიშნები	12 ნახ.

მუშკოპის ფასები.

(11 ოქტ.)

პური 1 ხარ.—325 ათ., პური 2 ხარ.—275, ძროხის ხორცი—900 ათ., ცხვრის ხორცი—1300 ათ., შაქარი რაფ. 2990. ფხვნილი შაქარი—2,500, ბრინჯი ალდაშის—660, მაკარონი—960 ათ. კარტოფილი—100.

ტფილისის ბაზრის ფასები

(11 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ.—350—400 ათ., პური 2 ხარ.—300, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1500, შაქარი რაფ.—3 მილ. ფხვნილი შაქარი—2550, ათ. ბრინჯი ალდაშ.—700 ათ. მაკარონი 1 მილ., კარტოფილი 125—150.

ბირჟის მიწოდება.

(11 ოქტომბერი).

სპილენძი (წითელი). ლურსმნები. შაქარი ფხვნილი (ყვითელი). ცენტროკავშირის ჩაი. კრასნოდარის მაკარონი. თეთრი კარტონი. სკიპიდარი ფრანგ. ტომბერი. იტალიური მანუფაქტურა. რუს ქაღალ. მანუფაქტურა. ფანჯრების მინა. ასანთი რუს. საპონი. ცემენტი და ეტერნიტი. კანიფოლი. ყუბანის ფქვილი. ევკალიპტი ზეთი. კონიაკის სპირტი.

ბირჟის მოთხოვნილება.

(11 ოქტ.)

აბრეშუმი (დაურთავი). ძელქვა (самцит). ელექტრონის ლამპიონები. რკინეულობა. ჩაი. ნედლი ტყავეულობა. ქვა მარილი ნახიჩევანის და ბახმუტის. მატყლი. ბამბა.

ოფიციალური გარიგებანი

(11 ოქტ.)

შაქარი რაფ. რუს. და ჩეხო-სლოვაკიის 17 ჩერვ. ფუთში ფრანკო—გამყიდველის საწყობი ყუბანის ფქვილი 2 მან. 60 კაპ. (ჩერვ.) ფუთში ფრანკო—სადგ. ტფილისი.

საქონლის ბაზრის განწყობილება

(11 ოქტომბ.)

საერთო განწყობილება საქონლის ბაზარზე: შაქრის და პურეულის ბაზრებზე—ცოტად გაცხოველებულია; რძის ნაწარმოების ბაზარზე-მტკიცეა; დანარჩენ ბაზრებზე ცვლილება არ ეტყობა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

10 ოქტომბერს ბირჟის გარეშე დადებულია 12 გარიგება სულ 17451 მან. (ჩერვ.) თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(11 ოქტომბ.)

დღეს ჩერვონცების და სტერლინგის კურსმა კვლავ შესამჩნევად აიწია. დანარჩენი ვალიუტა მტკიცეა.

ნავთის მრეწველობა ამერიკაში.

გაზეთების ცნობებით ნავთის მრეწველობა ამერიკაში კრიტიკულ მდგომარეობას განიცდის. ბენზინის ფასები, ა. | წ. აგვისტოდან დაწყებული, თანდათან მატულობდა და ამ მოვლენამ იმოქმედა როგორც მსხვილ, ისე წვრილ მრეწველობაზე. დღევანდელ მდგომარეობას ადარებენ იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა 1914—1915 წ.წ. ევროპიულ ომის დროს, როდესაც ამერიკის ნავთის მრეწველობა თითქმის დემორალიზაციას განიცდიდა. უმთავრესი მიზეზი ეხლანდელი კრიტიკული მდგომარეობისა არის—ერთის მხრით ნაწარმოების გადამეტება, მეორე მხრივ—გადმზიდავ გემების დაბალი ფრახტი კალიფორნიის ნაპირებიდან შეერთებულ შტატების აღმოსავლეთ ნაპირებამდე. ბენზინის ფასების დაცემაზე დიდი გავლენა იქონია ბენზინის გამომუშავებამ იაფ-ფასიან კალიფორნიის ნავთიდან, რომლის დღიური პროდუქცია მეტად დიდი იყო (დღეში 875.000 ბოჭკა) კალიფორნის ნავთი თავის თავად იმდენად იაფია, რომ ბაზრიდან მალე განდევნა სხვა წყაროების ნავთი. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ აღნიშნული ფასების დაწევა ბენზინზე მოხდა სწორედ იმ დროს (ზაფხულის სეზონი), როდესაც საზოგადოდ უმეტესი ბენზინი იხარჯება. მომავალ თვეებში, როდესაც ბენზინის ხმარება შემცირდება, ბენზინის მარაგი, რასაკვირველია, უფრო მეტად გაიზრდება.

ჭიათურის შავი ქვის ნაწარმოები და ექსპორტი.

სამთო განყოფილების სტატისტიკურ ცნობებით ჭიათურის მაღაროების ნაწარმოები აგვისტოს თვეში და ექსპორტი გამოიხატება შემდეგ ციფრებით: აღნიშნულ თვის განმავლობაში ამოღებულია სულ 1316199 ფუთი შავი ქვა; აქედან კავკასიის სამადნო საზოგადოებას ეკუთვნის 641865 ფუთი (48 პროც.); მეორე ადგილი უჭირავს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებას—289800 ფუთი.

მიიღო ფაბრიკებიდან გარეცხილი მადანი: პირველმა საზოგადოებამ—1459906 ფუთი, მეორემ—656685 ფ. იმავე თვეში გატანილია: გაურეცხავი შავი-ქვა—260111 ფ., გარეცხილი—345158 ფ. და „პეროქსიდი“—121077 ფ. სულ 3067246 ფ. აქედან გაზიდულია ამერიკაში 1520600 ფუთი გერმანიაში 475749 ფ. ინგლისში—420111 ფ. ჰოლანდიაში—313113 ფ., ბელგიაში—188878 ფ. და საფრანგეთში—148700 ფ. გაყიდულია შემდეგ ფასათ: გაურეცხავი—7 ნახ. პენსი, გარეცხილი—9 ნახ. პენსი, პეროქსიდი—4 ნახ. შილინგი.

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მონაწილეობა საბჭ. რესპუბლიკის კავშირის. საჩვენებელ სამრეწველო გამოფენაში.

მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა მუდმივ საჩვენებელ სამრეწველო გამოფენაში, რომელიც გაიხსნება დეკემბრის პირველ რიცხვებში. ამ გამოფენის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრენის განხატვა—გამოყენება, მათი ეხლანდელი ექსპლოატაცია და შესაძლებელი პერსპექტივები, განსაკუთრებით—კი საექსპორტო და საკონცესიო შესაძლებლობანი. გამოფენის პავილიონში დაშვებული იქნება აგრეთვე სხვადასხვა სავაჭრო ოპერაციები ქარხნების და ფაბრიკების ნაწარმოების გასასაღებლად. საერთო ხელმძღვანელობა ექსპონატების დამზადების და მათი გაგზავნა გამოფენაზე პრეზიდიუმმა მიანდო ინჟ. ტროცკის.

ჩათახის ქარხნის გაფართოვება.

ვინაიდან მოთხოვნილება ჩათახის თუჯის ნაწარმოებზე საგრძნობლად იზრდება, ქარხნის მმართველობამ დაიწყო საჩქაროდ მეორე ღუმელის (домна) გადაკეთება, მის შემდეგ შესაძლებელი გახდება ქარხნის დღიური ნაწარმოები 600—700 ფუთამდე ავიდეს.

ბამბის სავაჭრო ამხანაგობა საქართველოში.

რუსეთის უმთავრესმა ბამბის კომიტეტმა დაადგინა—გააფართოვოს ბამბის საქმე ამიერ-კავკასიაში. განზრახულია შედგენა საქართველოში სავაჭრო საპაიო ამხანაგობისა, 200.000 მან. (ჩერვ.) ძირითად თანხით. მომავალ წლისათვის განზრახულია საქართველოს ბამბის პლანტაციების გაფართოვება 4.000 დესეტინამდე.

პროფკავშირებში

პროფკავშირთა ამიერ-კავკასიის ყრილობისათვის.

საქართველოს პროფკავშირები შეუდგნენ საარჩევნო კამპანიის გატარებას პროფკავშირთა ამიერ-კავკასიის მომავალ ყრილობისათვის, რომელიც მოწვეული იქნება ტფილისში 25 ოქტომბერს.

დახმარება გერმანიის მუშებს.

გემო-კვების კავშირის ცენტრალურ გამგეობის სამდივნომ წინადადებით მიმართა ყველა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს შეუდგნენ შემოწირულებათა შეგროვებას გერმანიის მუშების სასარგებლოთ.

კულტმუშაობა

კინო კავშირებში.

გემო-კვების კავშირმა შეიძინა კინო-აპარატი სურათების საჩვენებლათ კავშირის საქარხნო კლუბებში.

ვერის რაიონის კლუბი.

კავშირის ცენტრალური გამგეობა აწყობს მუშათა კლუბს ვერის რაიონის სააღმშენებლო მუშებისათვის.

კლუბის საზეიმო გახსნა მოხდება 7 ნოემბერს, ოქტომბრის გადატრიალების 6 წლის თავზე.

რკინისგზელ მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება.

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა კავშირის პრეზიდიუმმა თხოვნით მიმართა ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს, რათა მიეცეთ დაბალ კატეგორიების მუშა-მოსამსახურეთ ყოველთვიურათ უფასოთ სათბობი მასალა დაწესებულ ნორმების მიხედვით.

დახმარება უმუშევრებს.

მეტყევეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის სამდივნომ გადაწყვეტილება მიიღო მიეცეს კავშირის ყველა დაუზღვეველ უმუშევარ წევრებს აგვისტოს თვის დახმარება. ცოლიანებს 3 მილიონის რაოდენობით, უცოლოებს 5 მილ. მანეთი.

ერთეულების დაზღვევა.

სააღმშენებლო მუშების კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ საბოლოოთ მოაგვარა საკითხი სააღმშენებლო წარმოების ერთეულების დაზღვევის შესახებ.

პროცენტული გადარიცხვა დამზღვევ კასაში აღებული იქნება რეალურ შრომის ხელფასის რაოდენობიდან.

ავადმყოფობისა და უმუშევრობის დროს დახმარების მიცემას საფუძვლათ ედება 9 საქონლის მანეთი თვეში (სახმინიმუმი).

სააღმშენებლო მუშების სრულიად საქართველოს მესამე ყრილობა.

17 ოქტომბერს შესდგება სააღმშენებლო მუშების კავშირის სრულიად საქართველოს მესამე ყრილობის გახსნა.

საარჩევნო კამპანია გატარებულია როგორც ქალაქის, ისე რესპუბლიკანურ მასშტაბით.

სომხეთის კავშირებში

ლტოლვა პროფკავშირებისაკენ.

უკანასკნელ დროის განმავლობაში შემჩნეულია მუშების ფართო მასების ლტოლვა პროფკავშირებისაკენ.

ეს ლტოლვა აიხსნება მუშაობის თანდათანობითი გაუმჯობესებით პროფორგანიზაციებში, და აგრეთვე იმით, რომ ფართო მასები დაინტერესებული არიან პროფესიონალური ცხოვრებით.

შედარებითი ციფრები სომხეთის პროფკავშირთა წევრების რაოდენობის შესახებ აღნიშნავენ ზრდას 10,5 პროცენტით. განსაკუთრებით ჩქარა იზრდება მიწა-ტყის კავშირის წევრთა რაოდენობა; ამ კავშირის მუშაობაში ებმიან სოფლის მეურნეობის მუშებიც.

კავშირების ფინანსები.

სომხეთის ყველა კავშირები თვითონ შოულობენ თავისთვის საჭირო თანხებს. სუბსიდიებს, რომელსაც უწევდა წინეთ პროფკავშირთა საბჭო ზოგიერთ კავშირებს, ეხლა აღარ აქვს ადგილი.

ყველა კავშირებთან, გარდა განათლების მუშაკთა კავშირისა, დაარსებულია ურთიერთ დამხმარე კასები.

კასების მონაწილეთა რიცხვი მარტო ერევანში უდრის 4145 კაცს, რაც შეადგენს კავშირების ყველა წევრების 100 პროცენტს, გარდა განათლების მუშაკთა კავშირისა, სადაც, როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, კასა ჯერ კიდევ არ არის დაარსებული.

ქრონიკა

— **გლეხთა კომიტეტები რაჭის მაზრაში.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის თაოსნობით რაჭის მაზრაში მოეწყო 72 საგლეხო კომიტეტი.

ონში დაარსდა ერთი თვითმშრომელთა საზოგადოება.

დახმარების მისაცემათ აღრიცხვაზე აყვანილია 53 ომის ინვალიდი და 628 დავრდომილი და გაჭირვებული. მაზრაში მოეწყო ინვალიდების კვირეული, საიდანაც შემოვიდა 69.300.000 მ., დახმარება მიეცათ წამლებით 102 კაცს, აგრეთვე დახმარების სახით დამშეულებს და გაჭირვებულებს დაურიგდათ 243 ფ. და 20 გირ. ხორბალი, ცეცხლისაგან და ნიაღვარისაგან დაზარალებულ 12 კაცს მიეცა 53 ფ. ხორბალი და 270.000 მან. ფულათ.

— **სასურსათო კომისარიატის საწყობების საიჯარო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.** საქ. სახ. კომ. საბჭომ დაადგინა სას. სამეურნ. გადასახადიდან შემოსული სურსათი განთავისუფლებულ იქნას საფუთო გადასახადისაგან, ხოლო საწყობებიდან საიჯარო გადასახადის აღება სწარმოებს საერთო, წესით.

— **მოკენჭილი გზების გაყვანა.** საქ. სახ. კომ. საბჭომ წინადადებით მიმართა უმაღ. მეურნ. საბჭოს პრეზიდიუმს, სასწრაფოდ გაგზავნოს ტეხნიკური კომისია თვალივი და ბარისახოს შორის მოკენჭილი გზების გასაყვანად და შეადგინოს ამ მიზნით სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა.

— **საზამთრო აგარაკები.** საქ. სახ. კომ. საბჭომ ნება დართო ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს მომავალ საზამთრო სეზონისათვის გახსნას აბასთუმანის აგარაკი 100 საწოლით, ბორჯომის—30, ქობულეთის—50 და დასახელებულ აგარაკების ხარჯთ-აღრიცხვა განსახილველად გადაეცა ფინანსთა კომისარიატს.

კომუნალური ბანკი. ტფილისში 1 ნოემბერს გაიხსნება კომუნალური ბანკი. დამაარსებელი კომისია ამ მიზნით აწარმოებს დაჩქარებულ მუშაობას.

— **დახმარება გორის ჯანმრთელობის კომისარიატს.** სოც. დაზღვევის სამმართველოს დადგენილების თანახმად, გორის დამზღვევ კასიდან ადგილობრივ ჯანმრთელობის განყოფილებას დახმარების სახით მიეცა 1 მილიარდი.

— **მიწად-მოქ. კომისარის მოადგილის დაბრუნება მოსკოვიდან.** მოსკოვიდან დაბრუნდა მიწ.-მოქ. კომისარის მოადგილე ამხ. კანდელაკი, რომელიც მივლინებული იყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქმეების გამო.

— **ახალი სახელმძღვანელო.** სოც. დაზღვევის სამმართველოს დაევალა გამოიმუშაოს ახალი სახელმძღვანელო (ინსტრუქცია) დამზღვევ ორგანოებსა და შრომის დაცვის ორგანოების ურთიერთ დამოკიდებულებათა შესახებ.

— **სიღნაღის სოც. დამზღვევი კასა.** დამტკიცებულ იქნა სიღნაღის დამზღვევი კასის ახალი შტატი 9 კაცის შემადგენლობით

— **დამზღვევ კასის ახალი პუნქტები.** სოც. დაზღ. სამმართველოს დადგენილებით სიღნაღის ოთხ მაზრაში: ქოდალოში, ველისციხეში; წითელ-წყაროში და ლაგოდეხში გაიხსნა საექიმო დახმარების პუნქტები.

— **ბინის ქირების ახალი ტარიფი.** ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს პლენუმმა დაამტკიცა ბინის ქირის ახალი ტარიფი.

— **ბუღალტერთა კურსები.** განათლების სახ. კომისარიატთან არსებულ საბუღალტერო კურსებზე შემსვლელთა დიდი რიცხვის გამო, გადაწყდა აღნიშნულ კურსებთან გაიხსნას პარალელური კურსები ახალ მსურველთათვის.

ეროვნულ-დემოკრატების განცხადებანი

(წერილები რედაქციის მიმართ)

პატივცემულო მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოგვითავსოთ შემდეგი:

„ჩვენ, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრები, გავეცანით რა ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრთა დეკლარაციას ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დაუყოვნებელი ლიკვიდაციის შესახებ ვაცხადებთ, რომ სავსებით ვუერთდებით ამ დეკლარაციის ყველა მუხლებს, ვესალმებით ჩვენი უფროსი ამხანაგების გაბედულ ნაბიჯს და ვუთვლით შერცხვენას „ეროვ.-დემ. პარტიის არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტს“ და მის ავანტიურისტულ ტაქტიკას, რომელიც არის დამღუპველი მთელი ქართველი ერისათვის.

ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია განვაცხადოთ ყველას გასაგონად, რომ თავისი ნებით შემდგარ არალეგალურ ცეკას მიერ წარმოებული აგიტაცია იმის შესახებ, **თითქოს საბჭოთა ხელისუფლება გვართმევდეს ჩვენ ყველაფერ ეროვნულს და ფეხქვეშ სთელავდეს ჩვენს ეროვნულ უფლებებს არის პროვოკაცია** და სხვა არაფერი. ამას ამტკიცებს **კომპარტიის 12 ყრილობის რეზოლიუციები და მათი გაბედულად ცხოვრებაში გატარება ჩვენში, საქართველოს სინამდვილეში.**

ჩვენ ვესალმებით საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც იცავს **პატარა ერების ინტერესებს.**

მოუწოდებთ ჩვენი პარტიის ყველა წევრებს, რომელთაც აქვთ რაიმე დამოკიდებულება არალეგალურ ორგანიზაციებთან, ყოველგვარი კავშირი გასწყვიტონ მათთან, შეუერთდენ ცეკას წევრთა დეკლარაციასთან და ამით დაამტკიცონ, რომ ჩვენ ვართ სამშობლოს ნამდვილი შვილები და მზად ვართ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ვიშრომოთ და ვიბრძოლოთ მისი კეთილდღეობისა და განმტკიცებისათვის, როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ ეროვნულ ასპარეზზე.

ყველა ისინი, ვინც ეწევიან არალეგალურ მუშაობას **საბჭოთა ხელისუფლების** წინააღმდეგ, შეგნებულად იბრძვიან თავის ხალხის წინააღმდეგ და იცავენ **ანტანტის ეროვნულ უმცირესობათა მჩაგვრელის—ინტერესებს.**

ალექსანდრე ივანეს ძე ხაგინაშვილი წევრი 1917 წ.

დიანოზ ქაიხოსროს ძე ცვარიანი (თანამგრძნობი 1918 წ.).

ერმილე ივანეს ძე მამარდაშვილი (თანამგრძნობი 1918 წ.).

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის ერთერთ უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი:

ვსთვლი რა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის უმცირესობის ტაქტიკას, (რომელიც გამოიხატება ჩოლოყაშვილის ბანდებისათვის ხელის შეწყობაში), საზიანოთ საქართველოს გლეხობისათვის, რადგან ეს ტაქტიკა იწვევს უკანასკნელის მიერ უაზრო მსხვერპლის გაღებას, მე ქვემოდ ამის ხელის მომწერი ვაცხადებ, რომ ვსდგები ამ ტაქტიკის გარეშე და ამიერიდან არ მსურს არაფერი საერთო ვიქონიო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან.

ვასილ როსტომის ძე ყიფიანი წევრი 1917 წლიდან

ჩვენ ქვემორე ამის ხელისმომწერნი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრნი, გავეცანით რა ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრთა უმრავლესობის დეკლარაციას, ამით ვაცხადებთ, რომ გადაჭრით ვუერთდებით აღნიშნულ დეკლარაციის ყველა დებულებებს.

ვესალმებით ჩვენი ამხანაგების—ცეკას წევრთა გაბედულ ნაბიჯს და მოუწოდებთ პარტიის ყველა წევრებს, რომელნიც ეწევიან რაიმე ანტისაბჭოთა მუშაობას, შესწყვიტონ ეს მუშაობა, რომელიც დამყარებულია პროვოკაციასა და საზღვარ-გარეთიდან მოსულ ყალბ ცნობებზე.

1. **ი. ი. გველესიანი** წევ. 1917 წ.
2. **ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორი.** (ტფილისის კომიტეტის სტუდენტთა ორგანიზაციის ყოფილი წევრი 1918—19 წლიდან).
3. **ვარლამ სოლომონის ძე ახვლედიანი**—1917 წ.

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ გამოაქვეყნოთ შემდეგი:

მე ქვემოდ ამის ხელის მომწერი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრი, არა ვსცნობ რა ერ.-დემ. პარტ. ცეკას, რომელიც შესდგება ჩვენი პარტიის ცეკას ყოფილ წევრთა ერთი პატარა ჯგუფისაგან და რომელიც აწარმოებს არალეგალურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ვაცხადებ, რომ სავსებით ვუერთდები ცეკას წევრთა უმრავლესობის დეკლარაციას, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტში“ № 180.

ვასილ გერასიმეს ძე ბერელაშვილი.

ამით ვაცხადებ, რომ სავსებით ვიზიარებ საქართველოს დემოკრატ. პარტ. ცენტრ. კომიტეტის დეკლარაციას, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ № 180 და ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლოდ მიმაჩნია, რომ არსებულ პირობებში სრულიად მოისპოს ამ პარტიის აქტიური პოლიტიკური მუშაობა.

საქართველოს დემ. პარტიის მთავარი კომიტეტის სარევიზიო კომისიის ყოფილი წევრი **ნიკო კაიშაური**.

— **სანიტ-განათლების სახლი.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის გადაწყვეტილებით სანიტ-განათლების სახლის გახსნა მოხდება ოქტომბრის დღესასწაულისთვის.

— **ბინის საკითხი.** ტფ. ქალაქის საბჭოს პლენუმმა დაადგინა მოახდინოს ბინის საკითხის გადათვალიერება და დასამტკიცებლათ წარუდგინოს სახ. კომ. საბჭოს.

— **მოწყალე დათა კურსებზე.** მოწყალე დათა კურსებზე სწავლა უკვე დაიწყო. პირველ სემესტრზე მიღებული 60 მსმენელი, მეორეზე—80.

— **წარმოება-დაწესებულებების დათვალიერება.** შრომის ბირჟა ამჟამად ათვალიერებს ცეკავშირის, ცენტრო-კავშირის და ჯანმრთელობის კომისარიატის დაწესებულებების მუშა მოსამსახურეთა წესიერ მიღება-დათხოვნას გამოსარკვევათ. პირველ ქალაქის საავადმყოფოდან მოხსნილი იქნება 18 მოსამსახურე, როგორც შრომის ბირჟის გარეშე მიღებული.

— **უმუშევარ ქიმიკოსთა კრება.** 15 ოქტომბერს დღის 1 საათზე ქიმიკოსთა კავშირის ბინაზე შესდგება უმუშევარ ქიმიკოსთა საერთო კრება.

— **შრომის ბირჟა.** 11 ოქტ. აღრიცხვაზე გამოცხადდა—899 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—122, სამუშაოზე გაიგზავნა—41.

შემთხვევები.

— **ტუსაღის გაქცევა.** 10 ოქტ. მე-9 სამილ. უბნის სატუსაღოდან საღამოს 9 საათზე გაიქცა პატიმარი რუბენ არუთინოვი.

— **ქალის გატაცება.** 10 ოქტ. ფომის ქ. № 19 აბდულ მინოევმა მოიტაცა ნინო ლებედინი. გამტაცებელი შეიპყრეს.

— **ბინის გაქურდვა.** 19 თებერვლის ქ. № 21 გაქურდულ იქნა ალ. იუტოვის ბინა, საიდანაც წაიღეს 3 მილიარდის ნივთები.

— **თავის დაჭრა.** საპიორის ქ. № 19, რევოლვერით თავი დაიჭრა ნინო მონიავამ ოჯახურ უკმაყოფილების ნიადაგზე.

— **ქურდის შეპყრობა.** 10 ოქტ. შეიპყრეს ივანე აკოფოვი, რომელსაც ბრალდება ქურდობა და ფულის დატყუება.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„კარმენ“.

ოპერის მთავარ როლში გამოვიდა მოქ. რიბონე.

შესრულების ვოკალური მხარე—ზოგიერთ ფერმკრთალ საშუალო რეგისტრების გამოკლებით, მეტად კარგია. მსახიობის ხმა ლითონის ტემბრისაა ფართო დიაპაზონით; განსაკუთრებით კარგია მაღალი და დაბალი რეგისტრები. ხმა თავისუფლათ ბგერს; მსახიობი თავისუფლათ ხმარობს ხმას. მუსიკალობა და მგრძნობიერება—ეჭვს გარეშეა. ფრაზიროვკა მოფიქრებულია,—სიმღერაში არის ტემპერამენტიც, მაგრამ სიმღერა ვერ არის რიტმიული. სცენიური გადმოცემა გაცილებით სუსტია.

პირველ ყოვლისა მსახიობი ვერ იტაცებს მსმენელს თავის თამაშით, სცენიურ გადმოცემაში ცოტაა უშუალობა და შემოქმედება და უფრო მეტია პარტიის ჩამოკვეთა.

კარგი იყო დუეტი ხოზესთან მეორე მოქმედებაში, აქ მეტი სიმართლეა. კარგი იყო სათამაშო ქაღალდზე რჩევის სცენაც,—აქ ბევრი განცდაა, არის შიშიც რჩევის წინაწარმეტყველების წინაშე—შიში უბრალო, უკულტურო ქალის. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რაც ყოვლად მიუღებელია,—ეს სცენა ხოზესთან და მიკაელასთან მესამე მოქმედებაში და კიდევ უფრო ფინალის სცენა,—სიკვდილი, რომელმაც მხოლოდ გაკვირვება გამოიწვია; მსახიობ ქალს კი აქ ისეთი კარგი პარტნიორი ჰყავდა, რომ ამ სცენას შეეძლო დრამატიული სურათის მოცემა.

ერთფეროვანია მიმიკაც—გაუგებარია რატომ იტაცებს კარმენს ასე უეცრათ სიძულვილი. ვერ იყო მოხდენილი მსახიობის გრიმიც; კოსტუმები ყველა კარგი იყო; რიბონეს კარმენი გრანდიოზული და პლასტიურია.

როგორი მშვენიერი ამსრულებელია დონ-ხოზეს პარტიის მოქ. სარაჯიშვილი. აი მართლაც დიდი ნიჭის მსახიობი, რომელსაც ახასიათებს მუსიკალობა, უშუალობა და, რაც უფრო ძვირფასია, სარაჯიშვილში—ეს სრული გარდაქმნის თვისება. მოქმედების განვითარების პროცესში სარაჯიშვილი და მის მიერ განსახიერებული პიროვნება ერთიანდებიან ერთ მთლიან სახეში.

მსახიობი განიცდის პარტიებს და ეს საგრძნობია სცენიურ გადმოცემაშიც, თვითეულ მუსიკალურ ფრაზაშიც და თვითეულ ჟესტშიც და, რაც უფრო სასიხარულოა,—ეს ის, რომ ყველაფერი ეს შემოქმედებაა და არა შესწავლილი, ნაძალადევი პოზიროვკა.

მშვენიერი იყო სარაჯიშვილი მეოთხე მოქმედებაში და სამწუხაროა, რომ სარაჯიშვილის პარტნიორი ქალი აქ არ იყო იმ მხატვრულ სიმაღლეზე, როგორც ჩვენი პრემიერი.

ტორეადორის პარტიას, მგონი პირველათ ჩვენს სცენაზე, მღეროდა მოქ. კრიჟანოვსკი. კრიჟანოვსკის ტორეადორი სრულებით აკმაყოფილებდა სერიოზულ მოთხოვნილებას.

დუეტში ხოზესთან (3 მოქ.) და კიდევ უფრო დუეტში კარმენთან

მუშათა ცხოვრება

რკინის გზის მთავარ სახელოსნოების ადგილკომის მოწოდება მუშებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

უკანასკნელ ხანებში გერმანიაში შეიქმნა მუშებისათვის აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა. უმუშევართა რიცხვი იზრდება, ათი ათასობით ყოველ დღე დახეტიალობენ ქუჩებში. შრომის ხელფასი თვით მუშა მოსამსახურეებისა იმდენად მცირეა, რომ იგი არ აკმაყოფილებს მათი მინიმალურ მოთხოვნილებებს. გერმანიის კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა აწარმოებს დიდ ბრძოლას მუშების წინააღმდეგ. ამხ. მუშებო და მოსამსახურენო, თქვენ უნდა იგრძნოთ რას ესწრაფებიან და რას ცდილობენ გერმანელი ფაშისტები! გამარჯვება ფაშისტებისა ნიშნავს მახვილის ჩაცემას საერთაშორისო მუშების მოძრაობისათვის.

გამარჯვება გერმანიის მუშებზე არის გამარჯვება ჩვენზე. გერმანელ მუშების გამარჯვება იქნება დასაწყისი კაპიტალისტების სამუდამოდ ალაგმვა-დამარცხებისა.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ამჟამად მშრომელნი მთელ გერმანიაში და ამისთვის თქვენი ადგილკომი და კოლუჯრედი მოგმართავთ თქვენ. მუშებო და მოსამსახურენო, რათა გაუწიოთ ამხანაგური დახმარება ჩვენს ძმებს, გერმანიის პროლეტარებს!

დგება გადამწყვეტი მომენტი და ჩვენ უნდა დაუმტკიცოთ ყველა ფაშისტებს და იმპერიალისტების აგენტებს, რომ მუშები ყოველთვის მზად არიან გაუწოდონ ხელი თავის ძმებს გერმანიის მუშებს და დაეხმარონ მათ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით. მთავარ სახელოსნოების ყოველ ცეხში გამოყოფილი იქნება ადგილკომის მხრივ ამხანაგები, რომელნიც შეკრებენ შემოწირულებას. ამხ. მუშებო! შესწირეთ თქვენის მხრივ რაც და რითაც შეგიძლიათ ამ დიად საქმისთვის!

ადგილკომის პას. მდივანი ნ. რუხაძე.

ჩვენც მოგვისმინეთ!

(წერილი სადგ. სამტრედიიდან).

სამტრედიის სადგურის გადამ გადმომტვირთავი მუშები დიდად უკმაყოფილონი არიან იმ მდგომარეობით, რომ ტვირთვა-გადმოტვირთვა რ. | გზაზე დარჩა ისევ „ცეტმო“-ს. ყველა მუშებში ერთი [illegible].

მუშები კმაყოფილი არიან ტრამოტის („ცეტმო“-ს, და მისი გამგის ამხ. კილაძის თავის დროზე ჯამაგირების მუშებისათვის მიწოდებით.

უნდა აღინიშნოს, რომ „წინედ“ რ. | გზაზე დიდძალი ქურდობა ხდებოდა, მაგრამ დღეს, როდესაც თვით მუშების ხელშია ტვირთვა-გადმოტვირთვა, მათ ჰყავთ მუშის წრიდან გამოსული ხელმძღვანელი და არავითარ ქურდობას აქ ალაგი არა აქვს. ის ძველი ჩვეულებაც, რომელსაც ჰქონდა ადგილი წინედ, როდესაც რ. | გზა თავისას ღებულობდა და მუშები კი მისგან „დამოუკიდებლად“, რაღაც ბეჩავივით ხელის გაწვდენას „მათხოვარივით“ აწარმოებდნენ საქონლის მიმღებ-გამგზავრებლებთან, დღეს ეს მოისპო, აღარ არის. მუშამ იცის, რომ ის დღეს არის ნამდვილი პატიოსანი მშრომელი, საბჭოთა სახელმწიფოს სრულუფლებიანი წევრი და არა სამოწყალოს მათხოვარი ვინმე. ის დღეს მუშაობს 8 საათს და მას ეძლევა სამისო ჯილდო თავის დროზე და ამით ის კმაყოფილია. მომავალშიაც ვუსურვებთ „ცეტმო“-ს განყოფილების გამგეს, ამხ. კილაძეს და პროფკავშირს ასეთი წმინდა მუშური საქმე, მუშათა ინტერესების დაცვის პრინციპებზე აგებული, კვლავ განაგრძონ მათ უფრო ენერგიულად და მუყაითად.

სამტრედიელი მუშა პ. ნინოშვილი.

ქალაქის აღმასკომში

9 ოქტომბერს შესდგა საერთო კრება მუშა მოსამსახურეებისა. კრებას დაესწრო 400 კაცამდის. პრეზიდიუმში აირჩიეს შემდეგი პირები: წულაძე, კარაგულიანი, ჯაფარიძე, სინაურიძე და მაჭავარიანი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება გერმანიის პროლეტარიატის მდგომარეობაზე, 2. წალკის რაიონის შეფობის შესახებ. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვარლამ მესხმა. მომხსენებელი შეეხო დეტალურად გერმანიის მუშათა კლასის ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობას და სხვა.

მასთან მოსალოდნელია პოლონეთის და საფრანგეთის ბურჟუაზიის თავდასხმა გერმანიაზე. მაგრამ ეს არ აშინებს გერმანიის პროლეტარიატს, ის მაინც ემზადება გადამჭრელი ომისთვის. გერმანიის პროლეტარიატს მხარს დაუჭერს მსოფლიო პროლეტარიატი სოციალისტურ რევოლიუციისათვის.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო გერმანიის ეკონომიურად დაცემას, რისთვის საბჭოთა ხელისუფლება მათ პურს და სხვა რესურსებსაც მიაწოდებს. ამიტომ მოუწოდებთ მშრომელ მასას, რათა ის დაეხმაროს გერმანიის პროლეტარიატს, რითაც შეუძლია. მოხსენებას კრება ოვაციებით შეხვდა.

ერთხმად გადასწყვიტა გერმანიის პროლეტარიატისთვის მატერიალური დახმარების გაწევა.

2. შეფობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. არტემოვამ. თანამშრომლებმა ერთხმად მიიღეს წალკის რაიონის შეფობა, რომელიც გამოიხატება გლეხების მეურნეობის გაუმჯობესებაში.

მუშკორი რუდინ.

ბნელი ქუჩა

(აღმასკომის და მილიციის საყურადღებოთ).

ჩვენს გაზეთში ჩვენივე მუშა თანამშრომლების მიერ ძალიან ბევრი იწერება იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნილია ტფილისის ზოგიერთ უბნებში ღამე სიბნელით-უსინათლობით.

თავისი სიბნელით და უსინათლობით გამოწვეულ შედეგებით აღსანიშნავია ჩერქეზიშვილის ქუჩასთან, ახალციხის შესახვევი, სადაც ერთი ელექტრონის ლამპაც არ ანათებს.

ამით აიხსნება ორი ფრიად არა ნორმალური მოვლენა:

პირველი—არა ერთი და ორი შემთხვევა ქურდობისა და ძარცვის.

მეორე—უსუფთაობა.

ცხადია, პირველი მდგომარეობა აიხსნება უსინათლობითა და ამ შესახვევში მილიციონერის პოსტის არ არსებობით, რაიც ხელს უწყობს ყოველგვარ ბოროტ-მოქმედებას.

მეორეც თითქმის ამავე მიზეზებიდან გამომდინარეობს...

შეუგნებელი და ბეცი მოქალაქე, რომელსაც არ აწუხებს არაფერი და სისუფთავესაც სხვათაშორის უყურებს, სარგებლობს რა სიბნელით ყოველგვარ, სიბინძურეს აქ მოათრევს და ჰყრის. ყოველ დილით, რომ ჩაიარო ჰყრია ნაგავი, მკვდარი კატები და სხვა.

ჩვენ ვართ დარწმუნებული, სანიტარული კომისია ჩვეულებრივად დარაზმავს სათანადო ორგანოებს ამისთანა მოვლენებთან საბრძოლველად

ამ შესახვევს ბევრი არაფერი ესაჭიროება. ორი სამი „ლამპიონით“ ეს ქუჩა საკმარისად განათდება, რითაც ბოლო მოეღება ქურდობას, უსუფთაობას და აგრეთვე მუშა-მოსამსახურენიც, რომელნიც ხსენებულ შესახვევში სცხოვრობენ, კმაყოფილნი დარჩებიან.

მუშკორი მხილებელი.

მუშათა კოოპერატივები

თვალი რომ გადავავლოთ კოოპერატივების მუშაობას წარსულში, ამ 1 და ნახევარ წლის წინედ, მაშინ, როდესაც ტფილისის მუშების ყურადღებას იწვევდნენ იგინი, მაშინ როცა მათი საქონლის ფასების საგრძნობი სიიაფე იზიდავდა მუშების ფართე მასას, რითაც ერთი უაღრესი საგიტაციო საქმე კეთდებოდა და დღევანდელი კოოპერატივების მუშაობასაც გადავხედოთ, ჩვენ მათში დიდ ცვლილებებს ვნახავთ.

უნდა გადაჭრით ითქვას, რომ დღეს ჩვენს კოოპერატივებს აღარა აქვთ ის მიმზიდველობა, რომელიც წინედ სუფევდა ჩვენში, და ეს უნდა აიხსნას იმით, რომ კოოპერატივის საქონლის ფასები თითქმის არ ჩამოუვარდება კერძო ვაჭრების საქონლის ფასებს.

ეს საკითხი დღეს მწვავე საკითხად არის აღიარებული მუშების მიერ და ჩვენც მოვალენი ვართ მას სერიოზულად შევხედოთ.

დღეს აქვს თუ არა მუშას საშუალება, რომ მან კოოპერატივებიდან შეიძინოს საჭირო საგნები?

ძალიან ძნელად, და აი მაგალითებიც.

ერთი თხელი საზამთრო ხალათი კოოპერატივში ღირს ერთი ჩერვონეცი მაშინ, როდესაც ასეთი ხალათს და უფრო უკეთესსაც ბაზარზე 45—50 მილ. მანეთად შეიძენთ.

ასევე ხდება სხვა საგნების შესახებაც. ავიღოთ ფხვნილი შაქარი, რომელიც კოოპერატივებში იყიდება ბაზრის ფასად, თუთუნი, პაპიროსის ფასებიც ბაზრის ფასებს სრულებით არ ჩამოუვარდებიან.

ერთად ერთი განსხვავებაა მხოლოდ პურში მაგრამ განა მუშებისათვის მარტო ესაა საჭირო?

ამას გარდა უნდა ითქვას, რომ როცა კი შევდივართ კოოპერატივებში, სამწუხაროდ, იქ მყიდველებად ვაჭრების და სხვა ამგვარ სპეკულიანტების ცოლებს და ქალებსაც ვხედავთ და ძალიან იშვიათად მუშის ოჯახის წევრებს.

შემდეგ რა საჭიროა კოოპერატივებში ფუფუნების საგნებით ვაჭრობა? იქ კი ასეთი აუარებელია, როგორიც არის: „დუხი“, პუდრა, პირის „კრასკები“ და სხვა.

ეს მდგომარეობა თუ ასე გაგრძელდა, დარწმუნებულები უნდა ვიყვნეთ, რომ მუშები დაჰკარგავენ რწმენას კოოპერატივების მიმართ და, თავის თავად ცხადია, მათი არსებობა მუშებისათვის მხოლოდ ქაღალდზე იქნება.

ჩვენ კვლავ მოუწოდებთ მათ, ვისგანაც ეს დამოკიდებულია, სერიოზული ყურადღებით მოეპყრან კოოპერატივებში ფასების აწევ-დაწევას. საჭიროა შესდგეს ამისათვის განსაკუთრებული კომისია და იმ მდგომარეობამდის დაიყვანონ ფასები, რომ მუშას საშუალება მიეცეს აქედან საქონელი შეიძინოს და ამის მეოხებით აგრძნობინოს მას, რომ ეს კოოპერატივი მისი ეკონომიურ მდგომარეობის გამაუმჯობესებელი აპარატია.

მუშა გ. გ—ძე

უცოდინარობა თუ დაუდევრობა!

(რკინის გზის სამმართველოს და შინაგან საქმეთა კომისარიატის საყურადღებოდ).

ცოფისაგან გახელებით 15 სექტემბერს გარდაიცვალა სამტრედიელი მოქ. ალექსანდრე ფირცხალავა, ვინაიდან თავდაპირველად არ ვიცოდით, თუ რითი იყო ის ავად; მის მოვლაში, როგორც ოჯახის წევრები, ისე ნათესავებიც ვღებულობდით მონაწილეობას, მაგრამ როცა გამოირკვა ავადმყოფობის რაობა, ქალ. სამტრედიის ექიმებმა მოგვცეს მოწმობა, რომ ჩვენთვის აუცილებელია პასტერის სადგურში ექიმობა და მოგვცეს წინადადება წავსულიყავით ტფილისში. ამ მოწმობით მივმართეთ ქალ. სამტრედიის აღმასკომს, რომ მოეცა ჩვენთვის საშუალება თანახმად არსებული წესდებისა, რომ რკინის გზით უფასოდ გადმოვეყვანეთ. აღმასკომმა მიგვიწერა სამტ. ოპერატიულ პუნქტის უფროსთან. პუნქტის უფროსმა გაგვგზავნა რკინის გზის სადგურის უფროსთან, სადგურის უფროსმა ადგილობრივი ექიმის მოწმობას ყურადღება არ მიაქცია და მოგვთხოვა რესპუბლიკის ჯანმრთელობის კომისრის მოწმობა, რომელიც უსათუოდ დაბეჭდილი უნდა ყოფილიყო. სად შეგვეძლო ჩვენ სამტრედიაში ამის მიღება და იძულებული ვიყავით, ვისაც ფული გვეშოვებოდა, შეგვეძინა ბილეთები. ზოგიერთებმა მოვახერხეთ (რიცხვით შვიდმა კაცმა), დანარჩენები უფულობის გამო (რიცხვით ხუთამდე) დარჩნენ და რა მოუვიდათ იმათ, არ ვიცი. სადგურის უფროსს სამტრედიაში ვსთხოვეთ, რადგანაც ჩვენ საშიში ავადმყოფობით ვართ შეპყრობილნი, მოეცათ ჩვენთვის საშუალება ცალკე დაბინავებული ვყოფილიყავით მატარებელში, მაგრამ მან ყურადღება არ მოგვაქცია.

საჭიროა, ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ყურადღება მიექცეს და ყველა ის პირები, ვინც პასუხსაგებ თანამდებობაზე არიან, იცოდნენ მათი მოვალეობა. საჭიროა, ადგილებში გაიგზავნოს შესაფერისი დარიგება, რაც ხელისუფლებისათვის დიდად სასარგებლო იქნება და არ ექნება ადგილი უბრალო ფორმალისტობას, რაც ადგილობრივი მუშებისათვის და სოფლელი გლეხებისათვის გაუგებარია.

ცეკავშირის სამტრედიის მექანიკურ ქარხნის თანამშრომელი ნოე ხანიკიძე.

(4 მოქ) მსახიობმა ბრწყინვალე ვოკალური გადმოცემა მოგვცა.

როგორც ყოველთვის, მშვენიერია ვოკალურ და სცენიურ გადმოცემაში მოქ. ისეცკი (ცუნიგა).

მიკაელა მოქ. მაზოვეცკაია უეჭველათ მუსიკალური მომღერალია, მაგრამ, სამწუხაროთ, მსახიობი თითქოს გაიყინა წინათ შექმნილ შტრიხებზე. მას სჭირია კარგი ხელმძღვანელი, რომ მთელი სიგანით გამოაშკარავდეს მისი ვოკალური და სცენიური ნიჭი. საჭიროა გრიმისათვის სხვადასხვა სახის მიცემა და ხმის თანდათანობითი განვითარება, ყველაფერ ამას მსახიობს შეუძლია მიაღწიოს.

მეტად მუსიკალურათ მღეროდა მორალესის პატარა პარტიას—მოქ. ვენაძე.

მუსიკოსი.

— „ორიონი“. 21 ოქტომბრიდან გამოდის საქ პროლეტარულ მწერალთა კავშირის ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი „ორიონი“. თანამშრომლებათ მოწვეულია ადგილობრივი ამხანაგები და მოსკოვის ხელოვნების მუშაკნი.

რედაქციის მისამართი: ხელოვნების სასახლე სერგეევის ქ. № 13. კავშირის ბინა. მასალები მიიღება იქვე.

— ორშაბათს, 16 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე ხელოვნების სასახლეში (სერგეევის ქ. № 13) საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირი მართავს მორიგ მეოთხე ლიტერატურულ ორშაბათს. ამხ. დათიკო დუმბაძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „პროლეტარული კულტურა დღეს და მისი უახლოესი პერსპექტივები“. მოხსენების შემდეგ კამათი. შესვლა უფასოა.

პროვინციაში

ატენის თემი (გორის მაზრა)

მთელს ატენის თემში, სადაც შვიდი ათასზე მეტი მცხოვრებია, შეიძლება იყოს მცირე წერა-კითხვის მცოდნე არა უმეტეს 20 კაცისა, ქალებზედ ხომ მეტია ლაპარაკი.

მთელს თემში, 65 ვერსის მანძილზედ და 20 ვერსის სიგანეზედ გაშლილს, 31 სოფლის მცხოვრებთ აქვთ ამჟამად ერთად ერთი სკოლა—სოფ. გარდატენში. სკოლის შენობა ისე პატარაა, რომ არ აკმაყოფილებს თვით იმ სოფელს, სადაც არსებობს.

არ არსებობს არსად სამკითხველო.

თემის ადგილ-მდებარეობა ასეთია: ატენიდან იწყება ტანის ხეობა მომცრო კლდიანი და ტყიანი გორაკებით, შემდეგ რამდენიც წინ წასდგებით, მთები იზრდება სამხრეთისკენ და ბოლოს შესტოპავთ გულზაფხულში მაღალ მწვერვალებზედ და მის ღელეებში ჯერეთ კიდევ დაუდრავ თოვლში. მთები მოგრაგნილია დაბურული ტყით, სადაც ჯერეთ კიდევ კაცის ფეხი არ შედგმულა. ტიტველა მთებზედ დაკუნტრუშობენ ქურციკივით ადგილობრივ მცხოვრებთა ოთხფეხი საქონელი და მათი მწყემსები.

ატენის ჩრდილოეთ ნაწილში გადაჭიმულია მშვენიერი წალკოტები, ვენახებით, ხილით და ბოსტნეულობით, რომელთაც ადამიანი მოჰყავს აღტაცებაში მაშინაც კი, როდესაც იგი დამუშავებულია ძველი წესით და შეუგნებელი ხელით.

საჭიროა ამ ბუნებით მდიდარ, მაგრამ კულტურულად მეტად ჩამორჩენილ რაიონს, მიექცეს სათანადო ყურადღება. პირველ ყოვლისა უნდა დაარსებულ იქნას დიდ სოფლებში პირველდაწყებითი სკოლები და ერთიც მათთვის საშუალო სასწავლებელი. გარდა ამისა 14 წლიდან 40 წლამდე მცხოვრებთ შევასწავლოთ წერა კითხვა, აგრეთვე გავმართოთ მათთან საუბრები სხვადასხვა საკითხებზე, საბჭოთა ხელისუფლებაზე, სწავლა-განათლების საჭიროებაზე და აგრეთვე საჭიროა გაიხსნას სკოლებთან სამკითხველოები, სადაც უნდა იკითხონ ხალხს გაზეთები და გააგებინონ მიმდინარე და სხვა ამბები.

იმედია ატენის თემშიაც საბჭოთა ხელისუფლება გაშლის თავის უხვს კალთას და მოუწყობს მცხოვრებლებთ სკოლებსა და სამკითხველოებს.

ინსტრუქტორი ეპიფანე სიამაშვილი.

შემოქმედის თემი (გურია)

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ამ თემში ბევრი რამ გაკეთდა კეთილმშენებლობის დარგში. შეკეთდა გზები, აგეს რკინის ხიდი, რომელზედაც ხალხმა დიდი შრომა გასწია. მაგრამ გასულ წლის წყალდიდობამ ეს ხიდი დაანგრია. მისი ხელმეორედ აგება შეადგენს მორიგ ამოცანას შემოქმედის თემის მცხოვრებთათვის. გასულ წლის წყალდიდობამ სავსებით გაანადგურა „ნაბეღავის“ წყლის არხის სათავე, (ეს არხი იწყება შემოქმედის თემში), რითაც დიდი საფრთხეში ჩააგდო მთელი ოზურგეთი. ამ დღეებში დასრულდა ამ არხის სიმაგრის აგება, რაზედაც დიდი შრომა მიუძღვის შემოქმედის მცხოვრებ გლეხობას. მხოლოდ ერთი ნაკლი აუცილებლად სდევდა ამ მუშაობას: სახელდობრ ის, რომ დამბებად საშენი მასალა არის თხმელას, რაც ძალიან სუსტი გამძლეა, როგორც მიწის ზევით, ისე მიწის შიგნით. ის ივარგებს სულ ბევრი ორი სამი წელი, მუშაობა კი დასჯირდა საგრძნობლად დიდი. სასურველი იყო, რომ ხარჯზე ხარჯი მიგვემატებინა და უფრო გამოსადეგი სიმაგრე აგვეგო. არ შეიძლება ეს არ მიეწეროს ხელმძღვანელის სისუსტეს. სკოლების და საერთოდ განათლების საქმე შედარებით კარგად არის მოგვარებული. შემოქმედის რვა წლიანი შრომის სკოლის შენობა, რომელიც დაწყებული იყო, უკვე 1916 წლიდან, თუმცა სრულიად მზად არ არის, მაგრამ ჩვენს დროს გაკეთდა მისი დიდი საგრძნობი ნაწილი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნიკოლოზის მთავრობიდან დაწყებული გათავებული მენშევიკური მთავრობით, ქირის ოფლს აღრევინებდნენ ღარიბ მშრომელებს და ვინ იცის, რამდენჯერ გაუწერიათ ამ სკოლის ხარჯები. საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ არც ერთი გაწერა ამ სკოლის საამშენებლო ხარჯებისა არ მომხდარა. ის აშენდა სხვადასხვაგვარი შემოწირულებებით, საღამო-წარმოდგენების გამართვით თუ სხვა მრავალი ასეთებით. გასულ თვეში ამ სკოლის სასარგებლოდ გაიმართა საღამო-კონცერტი, ვარლამ სიმონიშვილის ხელმძღვანელობით, მისივე ახლად გაწვრთნილ ახალგაზრდა გურულ მომღერალთა გუნდის მიერ. შემოსული თანხა უკლებლივ გადაეცა სკოლის საამშენებლო საბჭოს.

აგებულ იქნა სოფელ წითელ მთაში ახალი ოთხ-წლიანი დაწყებითი სკოლის შენობა, რაშიდაც დიდი კოლექტიური შრომის უნარიანობა გამოიჩინა წითელ მთის სოფელმა. კაპიტალური რემონტი უკეთდება სოფელ გონების კარისა და გომის დაბალი საფეხურის სკოლებს. სწავლაც ნორმალური და დამაკმაყოფილებელია. მხოლოდ ზოგიერთი შემთხვევა არის, როცა სოფლის ღარიბი გლეხის შვილები ზოგიც ობლები შიშველ-ტიტველნი დადიან, ამასთან რვეულისა და კალმის ყიდვის საშუალებას მოკლებული არიან. არავითარი სამისო დახმარება ჯერჯერობით სოფლად არ არის მოწყობილი, რაც დიდ სისუსტეთ უნდა ჩაითვალოს.

წიგნთ-საცავ-სამკითხველო უნუგეშო მდგომარეობაშია. გაზეთ ჟურნალი აქ გამოწერილი არ არის, თუ სადმე ვინმე შემთხვევით იყიდის. მოდის მხოლოდ გაზეთი „მიწის მუშა“, მაგრამ არა ახალი, ერთი კვირისა და ათი დღის შემდეგ, როდესაც სრულიად დაკარგული აქვს ინტერესი, როგორც დღიური ორგანოს, და ისიც მიღების შემდეგ ხმარდება არა თავის დანიშნულებას, არამედ რაიმეს შესახვევად და ეს დღემდე აგრია და ხვალისთვისაც თავს არავინ იტკენს, რომ—ეს კითხვა მოაგვაროს. საჭიროა სამაზრო აგიტპროპმა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და გამოასწოროს ეს დეფექტი.

მან-განი.

წერილები რედაქციის მიმართ

გაზ. „კომუნისტი“-ს № 219 მოთავსებულია წერილი ამიერკავკასიის საბაჟო სამმართველოს თანამშრომლის ამხ. მაღლაკელიძის შესახებ ლიმაშის ხელმოწერით.

ეს წერილი თავიდან ბოლომდე შეიცავს ცილისწამებას და სიცრუეს.

როგორც სჩანს საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საბაჟო ნაწილში მაღლაკელიძის მიერ წარმოდგენილ მოწმობებიდან, რომლებიც მას აქვს მიღებული ტფილისის საოლქო სასამართლოს საოლქო გამომძიებლისაგან, № 652, 1920 წლის აგვისტოს 13-ს თარიღით, ტფილისის 2 უბნის რკინისგზის გამომძიებლისაგან №№ 105 და 106, 1921 წლის თებერვლის 27 თარიღით, ამხ. მაღლაკელიძე იყო მიცემული პასუხისგებაში იმ ბრალდების გამო, რომლებიც მას მიეწერა და რომელიც მოთავსებული იყო გაზეთი „კომუნისტი“-ს № 219,—სათანადო მასალის უქონლობის გამო.

როგორც სჩანს საქართველოს საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საბაჟოს ნაწილის მიერ მაღლაკელიძისათვის მიცემულ მოწმობიდან № 3060, 1921 წლის სექტემბრის 9-ს თარიღით, ის აღდგენილია თავის უფლებებში და დანიშნულია, თანახმად საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ბრძანებას № 21, ტფილისის საბაჟოს ეკზეკუტორად, რომელ თანამდებობაშიაც ითვლებოდა ის 15 ივლისამდე, ე. ი. საბაჟოს გაუქმების მომენტამდე ჩამოთვლილი დოკუმენტები ინახება სამმართველოს საქმეებში.

დაწესებულება, რომელმაც მიიღო მაღლაკელიძე თანამშრომლად, ხელმძღვანელობდა როგორც ყველა, მაღლაკელიძეზე არსებულ დოკუმენტებით, აგრეთვე მისი მუშაობის დიდი უნარით. ამიერკავკასიის საბაჟო სამმართველოს მთელი ადმინისტრაცია დარწმუნდა იმაში, რომ მოქ. მაღლაკელიძე საქმის მცოდნე, სასარგებლო მუშაკია.

მაღლაკელიძეს რომ არ მიეღო მონაწილეობა ტფილისის საბაჟოს სალაროს იმ რევიზიაში, რომელმაც გამოააშკარავა ჩერვონცებით ბოროტმოქმედება, რასაც შედეგათ მოჰყვა სამი თანამშრომლის სამსახურიდან გაძევება და მათი პასუხისგებაში მიცემა სამსახურის ბოროტმოქმედების გამო, აშკარაა, ეს წერილი არ გაჩნდებოდა. და აი სწორედ აქ გამოსჭვივის ის ფარული ბრაზი და სარევიზიო კომისიის წევრებისადმი სიძულვილი გამოაშკარავებულ ბოროტმოქმედების გამო, რომელმაც მიიღო ასეთი დამახინჯებული სახე.

ლიმაში, როგორც სჩანს, ფიქრობდა დიდი ეფექტის მოხდენას, მაგრამ ჩვენ ვიცით საიდან უბერავს ქარი.

როდესაც იწერებოდა ეს სტრიქონები, გაჩნდა მოქ ლიმაშის მორიგი წერილი, ზემოაღნიშნულ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ლებედევის წინააღმდეგ. ეხლა საინტერესოა დაუსვათ ლიმაშს კითხვა—როდის ფიქრობს ის გაუშვას მორიგი ცნობა სარევიზიო კომისიის მეორე წევრზე ამხ. ე. გასილევზე და აგრეთვე იმ დაწესებულებაზე, რომელიც აწარმოებს გამოძიებას ჩერვონცებით ბოროტმოქმედების შესახებ.

მოქ. ლიმაშმა უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომლის, პროფკავშირის წევრის, ყოველგვარი დათხოვნა ადმინისტრაციის მიერ შესაძლოა მხოლოდ იმ მიზეზების არსებობით, რომელნიც [illegible] განსაზღვრულნი არიან შრომის კანონების კოდექსის მუხლებით და ამიტომ, ცხადია, რომ მაღლაკელიძის დათხოვნისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს საკმაო მიზეზად მისი ორთაჭალის ბაღში წასვლა, მით უმეტეს, თუ მას იქ არ ჩაუდენია არავითარი ბოროტმოქმედება სამოქალაქო ხასიათისა.

დასასრულ, როგორც თავმჯდომარე საბაჟო დაწესებულებების მავნე და არა სასურველ ელემენტებისაგან გამწმენდ კომისიისა, ვიტყვი შემდეგს: პირველი, რომ თანამშრომლები საბაჟო სამმართველოსი, როგორც ცენტრალური დაწესებულებისა, თანახმად გაწმენდის წესებისა, ამ კომისიაში გაწმენდას არ ექვემდებარებოდენ და, მეორე, თანახმად გაწმენდის ელემენტარულ წესებისა, კომისია ითხოვდა სამსახურიდან იმ თანამშრომლებს, რომლების შესახებაც არსებობდა რაიმე მასალა, რომელიც ამტკიცებს მათ ან ბოროტმოქმედებას, ან არასაიმედობას. და თუ ის, გარკვეულ მასალების არსებობის დროს, სწმენდდა საეჭვო ელემენტებს, როგორც, მაგალითად, ყოფ. ხუცებს და სხვა საეჭვო პირებს, მავნებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ამგვარ ზომის მოსახმარებლად უბრალო თანამშრომლების მიმართ, როდესაც მათზე არავითარი მასალა არ მოეპოვებოდა, კომისიას არა ჰქონდა საფუძველი.

ყოფ. საქმეთა მმართველი და ამიერკავკასიის საბაჟო დაწესებულებების ცენტრალურ გამწმენდ კომისიის თავმჯდომარე ა. გახილავა.

თელეთის აღმასკომის თავმჯდომარის მოქ. ლუკა შაუთიძის მოქმედების შესახებ ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილებამ მოახდინა სათანადო გამოძიება 4 ოქტომბერს, რის შედეგათ მოქ. შაუთიძე სათანადო დაწესებულება-ორგანიზაციების დასტურით დაპატიმრებულ იქნა 11 ოქტომბერს და საქმე გადაეცემა სასწრაფო წესით აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს, ხოლო მის ნაცვლად იქ გაიგზავნება შესაფერი პირი.

გარდა ამისა ამ ორ-სამ დღის განმავლობაში განახლებული იქნება აღნიშნული აღმასკომის მთელი შემადგენლობა.

ტფ. ქ. აღ. სამმართ. განყოფილება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 94

ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 26.

საოპერაციო წლის ვადის დაწესების შესახებ საკრედიტო დაწესებულებათა ანგარიშის შედგენისათვის

რათა დაწესებულ იქნეს ერთიანობა საოპერაციო წლის ვადისა, რაც მიღებულია სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შემავალ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს.

1) დაწესებულ იქნეს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა საკრედიტო დაწესებულებისათვის და აგრეთვე შემნახველ-გამსესხებელი კასისათვის, საოპერაციო პერიოდი დავთრების წლიურ დასამთავრებლად და წლიური ბალანსისა და ანგარიშების შესადგენად—ოქტომბრის 1-დან სექტემბრის 30-დე, რომელ ვადასაც დაუკავშირდეს საერთო კრების მოწვევა წლიური ანგარიშის დასამტკიცებლად.

2) ფინანსთა სახალხო კომისარიატი თავისი სათანადო ორგანოების მეშვეობით ანხორციელებს ზედამხედველობას ამა დადგენილების სისწორით შესრულებისათვის.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი ს. ლეკიშვილი.

დადგენილება № 94.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის სექტემბრის 27.

სამსახურის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში.

ცალკე დებულების გამოცემამდე სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში სამსახურის შესახებ და ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკებში ამ საკითხის შესახებ მოქმედი ყველა დებულების გასაუქმებლად სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის პირი, ვისაც სასამართლოს განაჩენით ჩამორთმეული აქვს სახელმწიფო სასამართლოში ყოფნის უფლება არ შეიძლება მიღებულ იქნეს ამ სამსახურში განაჩენით განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

2. აეკრძალება სახელმწიფო სამსახურში ერთსა და იმავე დაწესებულებასა და ან საწარმოში ყოფნა იმ პირთ, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ახლო ნათესაობით ან თვისებით (მშობლები, ცოლ-ქმარი, ძმები, დები, ვაჟიშვილები, ქალიშვილები და აგრეთვე ძმები, დები, მშობლები და ბავშვები ცოლ-ქმრისა), უკეთუ მათი ერთად სამსახური დაკავშირებულია ერთის ქვემდებარეობასთან მეორესადმი ან ერთის მიერ კონტროლის გაწევასთან მეორესათვის.

შენიშვნა: გამონაკლისი მე-2 მუხლით დადგენილი წესისაგან შეიძლება მოხდეს იმ პირთათვის, რომელთაც არჩევით უჭირავთ სახელქვეითო თანამდებობა ან ისეთი, რაც კონტროლის ქვეშ არის.

3. სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირს აეკრძალება პირადათ ან დამხმარე პირის მეშვეობით იყოს მონაწილე რაიმე კერძო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოოსი, აიღოს იჯარა ან ნარდათ სამუშაო საქმე, მონაწილეობა მიიღოს სამრეწველო იჯარის ხელშეკრულებაში და რაიმე ფორმით დაიჭიროს სახელმწიფო დაწესებულებასთან და საწარმოოსთან კომერციული ხასიათის ურთიერთობა და აგრეთვე იყოს ვექილად მესამე პირისა იმ დაწესებულებათა და საწარმოოთა საქმეების გამო, სადაც იგი მსახურობს.

4. თანამდებობათა შეთავსება რამდენიმე სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში ან საწარმოში შეიძლება მხოლოდ ამ დაწესებულებათა ან საწარმოთა ხელმძღვანელების ურთიერთ შეთანხმებით, ხოლო შეთავსება სახელმწიფო სამსახურისა კერძო დაწესებულების ან საწარმოს სამსახურთან აკრძალულია.

5. შეთავსება თანამდებობისა სახელმწიფო დაწესებულებაში ან საწარმოში მეორე თანამდებობასთან, ერთსა და იმავე ან სხვადასხვა დაწესებულებისათვის ან საწარმოსათვის არ შეიძლება უკეთუ ეს დაწესებულებანი, საწარმონი ან შეთავსებული თანამდებობანი არიან ერთმანეთთან: ა) საკონტროლო დამოკიდებულებაში, ბ) საადმინისტრაციო-სამეურნეო დამოკიდებულებაში.

შენიშვნა: ამა მუხლში აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდება მთავრობის წარმომადგენელთა თანამდებობის დაჭერაზე საბჭოში, გამგეობაში და სარევიზიო ორგანოებში იმ სააქციო საზოგადოებათა და სხვა სამეურნეო შენაერთთა, რომელიც მოეწყობა სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით.

6. შეთავსება მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მოსამსახურეთა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ინსპექტორებისა და კონსულტანტებისა, შრომის ინსპექციისა და სხვა საუწყებო ინსპექციის მოსამსახურეთა, რომელთაც მიკუთვნებული აქვთ მომკვლევ ორგანოთა უფლებანი, ფინანსთა სახ. კომისარიატის პირდაპირ და არა პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორებისა და აგენტებისა, სახალხო გამომძიებელთა და სახალხო მოსამართლეთა უზენაესი და საგუბერნიო სასამართლოების სასამართლო კოლეგიათა და სამხედრო და სატრანსპორტო ტრიბუნალების წევრებისა, საპროკურორო ზედამხედველობის პირთა და საგანგებო კომისიის თანამშრომელთა—შეიძლება მხოლოდ თავისი უწყების ფარგლებში და მარტოოდენ უწყების მეთაურის სპეციალური ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

შენიშვნა. შრომის სახალხო კომისარიატს დაევალება ერთი კვირის განმავლობაში შეადგინოს ნუსხა იმ თანამდებობათა და სამუშაოთა, რომელთა ერთსა და იმავე დროს აღსრულება ჩაითვლება შეთავსებად მე-5 და მე-6 მუხლის აზრით.

7. დაწესებულებისა და საწარმოოს ხელმძღვანელი, რომელიც ამა დადგენილების წესის საწინააღმდეგოდ მიიღებს ან დასტოვებს სამსახურში ვინმე—მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც სამსახურობრივი დანაშაულისათვის.

8. ამა დადგენილებაში აღნიშნული წესის დარღვევით სამსახურში მიღებული პირი დათხოვნილ უნდა იქნეს წინასწარ გაუფრთხილებლად და უკომპენსაციოდ.

ამის წინად სამსახურში მიღებული პირი, რომლის სამსახურში დატოვებაც ეწინააღმდეგება ამა დადგენილებას,—დათხოვნილ უნდა იქნეს შრომის კანონთა კოდექსის 28 მუხლის წესის დაცვით.

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი ნ. ივანიშვილი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი ს. ლეკიშვილი.

[illegible]

ყველა დაზღვევა კასებ

თანახმად ს. ს. ს. რ. შრომის კომისარიატის დადგენილებისა „პ აგრეთვე დაზღვევის დამატებით სა უმუშევრობის დროს დახმარებათა ბის გამოანგარიშების“ შესახებ (ა. წ. ტემბრის თარიღით № 35), რესპუბლი ციალური დაზღვევის სამმართველო ოქტომბრისთვის აწესებს დახმარებათ დეგ რაოდენობას:

ა) ბავშვების მოსავლელად (მშობიარობა)	77.00
„ საკვებად	20.00
დაზღვეულის და მისი ოჯახის წევრთა დასამარხათ, გარდაცვალებულის წლოვანების და მიუხედავათ	77.00
ბ) 1-ლ კატეგორიის უმუშევართათვის	55.0
მე-2 „ „	39.
გ) 1-ლ კატეგორიის ინვალიდთათვის	77
მე-2 „ „	55.
მე-3 „ „	39.0
ოჯახისათვის, რომელმაც დაჰკარგა მარჩენალი და შესდგება:	
ერთი შრომის უნარ-მოკლებულ წევრისაგან	28.00
ორი „ „ „ „	39.000
სამი „ „ „ „	55.

რესპ. სოცდაზღვევის სამმა
უფროსი: კ. ცომ
სამმართველოს პ. | მგ.
თუშიშვ

პარტიული და საბჭოთა კალენდ

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფ. ორგანიზაციის 2 სარაიონო კომიტეტ დებას აძლევს 2 რაიონის ყველა წევრთ და კანდიდატებს, რომლებსაც ჯერ ჰქონ ლიტიკურ ცოდნის გამოცდა კომუჯრედებში და რომლებიც ამჟამად ტფილისი ბიან, შემთვიდენ გამოსაცდელათ სარაიონო კომიტეტის ბინაზე შაბათს, 13 ოქ სრულ 5 საათზე, სადაც მოხდება გამოცდა. უჯრედების ყველა პასუხისმგებელ წინადადება ეძლევა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ გამოგზავნონ სარაიონო კ აღნიშნულ დღეს და საათს ყველა ის ამხანაგები, ვინც აქამდე გამოცდაზე არ დებულა.

ის პირები, ვინც შაბათს 13 ოქტ., 1923 წელს გამოცდილნი არ იქნებიან, ბენ გამოცდას ტფ. კომიტეტის საგიტ-საპროპ. განყოფილებაში.

სარაიონო კომიტეტის მდივანი ნაზარო

კომუნისტურ სტუდენტობის ბიურო და სახელმწიფო უნივერსიტეტის და (ქართულ) სტუდენტთა საბჭო აცხადებენ, რომ კვირას, 14 ოქტომბერს, დღის 12 ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლის შენობაში შესდგება სახელმწიფო უნ ტისა და მუშფაკის სტუდენტების საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. გერმანიის მდგომარეობის შესახებ,
2. საბჭოს ანგარიში,
3. მიმდინარე საქმეები.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

უჯრედის ბიურო და საბჭოს გამგეობა.

შაბათს, 13 ოქტომბერს, 5 საათზე მე-11-ე რაიკომის შენობაში **მე-11-ე რაიონის იმ წევრთა პოლიტიკურ ცოდნის შემოწმება, რ თაც არ გაუვლიათ ასეთი.**

შემოწმებისათვის მობილიზაციით მოწვეული არიან ამხ. ამხ. სევასტი ველი (ცენტროსოიუზი) და მარკარიანი („ზაკროსტა“).

ტფ. კომიტეტის საგიტ.-საპროპ. განყოფ გამგე მ ცხ

— შაბათს, 13 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ტფილისის კომიტეტის საა საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება **რაიონულ საგიტაციო-ს განდო განყოფილებათა გამგეების თათბირი.**

დღის წესრიგი:

1. ანბანის უცოდინარობა.
2. საპროპაგანდო ძალების აღრიცხვა.
3. თვით განვითარების ბიურო.
4. მარქსისტული წრეები.
5. ანტი არწმუნოებრივი პროპაგანდა.
6. უჯრედების მდივანთა საინსტრუქტორო კურსები.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყ. გამგე მ. ც

განცხადებები

ძმები ვარლამ და კოლია კალანდაძენი და დები აგრაფინა ლომ თიძისა, ნატაშა დალაქიშვილისა, თამარა ტყეშელაშვილისა და ნერა ლაზხიასი; სიძეები: ონისიმე ტყეშელაშვილი, ევგენი ლა ამით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფ შემდეგ გარდაიცვალა აბასთუმანში 9 ოქტომბერს ძვირფასი და

მარუსია ირაკლის ასული
კალანდაძის.

(35—1—1)

სახელმწიფო ოპერა
ორშაბათს, 15 ოქტომბერს, 1923 წელს,
პირველათ განახლების შემდეგ ოპერა
აიდა
მონაწილეობენ: პანკრატოვა, მოსინი, პოლიაევი და სხვები.
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
მთელი შემოსავალი გადადებული იქნება გერმანიის პრო რიატის სასარგებლოთ.

სახელმწიფო აკადემიური ოპერა
დღეს, 13 ოქტომბერს, 1923 წ.
ევგენი ონეგინი
დასაწყისი სრულ 8 საათზე.
მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალული
კასსა ღიაა 11—3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის დამთავ
ადმინისტრატორი: პუშ
(კრ. 666—1—1) სამხატვრო ნაწილის გამგე ივ. ფალ

საჯარო ვაჭრობა
შრომის სახალხო კომისარიატი
იწვევს ყველა მსურველთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო შეჯიბრ მელიც გაიმართება ამა წლის ოქტომბრის 20-ს უმუშევართა სა საჭიროებისათვის თვეში 50 ფუთი პირველ ხარისხის ძროხის ხო ზადების და ადგილობრივ ფქვილიდან 500 ფუთის პურის გამოცხ რით აღების შესახებ.
ვაჭრობა იქნება ზეპირი; მონაწილეობის მიღებისათვის სა წინდრათ 50 ჩერვონ. მან. წარმოდგენა.
დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება უმუშევართა სა გამგესთან დილის 8—12 საათამდე ყოველდღე (ვერის დაღმართ
(კრ. 34—2—

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო [illegible] ექ. სვიმონ ყიფშიძის
[illegible] ტფილისი, გორდონოვის ქ. № 20 (1252—

დაკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი ივანე კარპის ძ ნოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
(33—1—

სტამბა „ზარია ვოსტოკა“ რუბინშტეინის ქ. № 4.